www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 11 ოქტომბერი, 2012 წელი. | №3133 (226) | ფასი 50 თეთრი

"გადაბარება" გრძელდება

მარი ახსიაშვილი

მინისტრობის კანდიდატები მოქმედი მთავრობის წევრებთან შეხვედრებს აგრძელებენ. გუშინ იუსტიციის სამინისტროში მივიდა მინისტრობის კანდიდატი თეა წულუკიანი. წულუკიანი "ქართული ოცნების" იურისტ დავით ჯანდიერთან ერთად შეხვდა ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსს, ეკონომიკური სამსახურის უფროსს და საქართველოს იუსტიციის ამჟამინდელი მინისტრის პირველ მოადგილე თინა ბურჯალიანს. როგორც წულუკიანმა განაცხადა, იგი რამდენიმე საკითხით დაინტერესდა.

"მივიღე დადასტურებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უწყების გადაბარების პროცესი არ დააზარალებს მოქალაქეების მომსახურებას. შევთანხმდით, რომ სანამ მინისტრთა კაბინეტი დამტკიცდება, მუდმივ კონტაქტზე ვიქნებით, რათა გადმობარება რაც შეიძლება უპრობლემოდ მოხდეს," - განაცხადა მინისტრობის კანდიდატმა.

რაც შეეხება სხვადასხვა დოკუმენტების განადგურებაზე გავრცელებულ ინფორმაციას, წულუკიანის განცხადებით, მას თინა ბურჯალიანმა უთხრა, რომ იუსტიციის სამინისტროში ყველა დოკუმენტი ელექტრონულია, რომლებიც არ განადგურებულა. მისი თქმითვე, იუსტიციის სახლები და ის სტრუქტურები, რომლებიც გამართულად მუშაობს, უპრობლემოდ გააგრძელებს მოქალაქეების მომსახურებას. მშენებლობები კი, რომლებსაც იუსტიციის სამინისტრო ამჟამად ახორციელებს, ხელისუფლების გადაბარებამდე შეჩერებულია.

"ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება მათი მხრიდან, რომ მომავალ ხელმძღვანელობას მოქმედების არეალი დაუტოვონ და ინფრასტრუქტურული პროექტების ბედი მომავალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტოს," - განაცხადა წულუკიანმა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ჩრდილოეთ კავკასიაში არმიის გააქტიურებას ოლიმპიადას უკავშირებენ

მოსკოვი ამას ოფიციალურად არ ადასტურებს

ივა შილაკაძე

ბოლო დღეებში რუსულ და საერთაშორისო მედიაშიც აქტიურად მიმდინარეობს ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი სიტუაციის განხილვა, რის გამოც შეიარაღებულ იატაკქვეშეთთან ბრძოლაში თავდაცვის სამინისტროს შენაერთები ჩაერთვნენ (ამის შესახებ დაწვრილებით ვწერდით ჩვენს სტატიაშიც "24 საათის" გუშინდელ ნომერში).

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

უხილავი ამოცანები კულტურის მინისტრისთვის

სოფო კილასონია

როდესაც ბატონი გურამ ოდიშარიას კანდიდატურა საქართველოს კულტურის მინისტრისა და ძეგლთა დაცვის თანამდებობის დასაკავებლად დაასახელეს, მაშინ გაისმა ფრაზა - "სიმბოლური". ალბათ სიმბოლურობა მის აფხაზურ ფესვებთან დაკავშირებით გამოითქვა, თუმცა მაინც გამიჩნდა უსიამოვნო განცდა. ვიფიქრე, შემთხვევით კულტურის სფეროს საჭეთმპყრობელის თანამდებობა ისევ სიმბოლურ პოსტად ხომ არ მიაჩნიათ-მეთქი?

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

სირიის კრიზისი

ნატო თურქეთს სირიის გამო სოლიდარობას უცხადებს

ხათუნა გაბიევი

სირიაში რეგულარული არმიისა და ამბოხებულების შეტაკებები გრძელდება. დედაქალაქის გარდა, განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაა იდლიბის პროვინციაშიც, სადაც შედარებით უკეთესი პოზიციები სწორედ "სირიის თავისუფალ არმიას" აქვს. ამბოხებულებმა სოციალური მედიის მეშვეობით ასადის ჯარზე იერიშის ამსახველი კადრებიც გაავრცელეს. რაც შეეხება სიტუაციას დამასკოში, გასული დღე-ღამის განმავლობაში შეტაკებებს ათობით პირი ემსხვერპლა, რომელთა ნაწილი მშვიდობიანი მოქალაქეა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6603⇓
1 ევრო	2.1461⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.6585⇓
1 თურქული ლირა	0.9149⇓
100 რუსული რუბლი	5.3387⇓

თბილისი	21°C - 14°C
ქუთაისი	28°C - 16°C
თელავი	21°C - 12°C
ზუგდიდი	27°C - 17°C
ბათუმი	27°C - 19°C

ნავთობი	3.23	+0.02	+0.77%
გაზი	3.43	-0.03	-0.93%
ოქრო	1,762.80	-2.20	-0.12%
ხორბალი	869.50	+5.25	+0.60%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

ჯანო, რომელსაც იცნობს იკერ კასილასი

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოსკოვის "სპარტაკის" ნახევარმცველ ჯანო ანანიძეს 10 ოქტომბერს 20 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით პოპულარულმა რუსულმა სპორტულმა ინტერნეტ გამოცემა championat.com-მა ქართველ შემტევს ვრცელი მასალა მიუძღვნა. "10 ოქტომბერს 20 წელი შეუსრულდა რუსული პრემიერ ლიგის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთეს, "სპარტაკის" ნახევარმცველს ჯანო ანანიძეს.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ლევან ყიფიანის ახალი პროგრამა

ზურაბ თალაკვაძე

სპორტის სამინისტროში ახალი პერსონა უხელმძღვანელებს ყველა პროცესს. ლევან ყიფიანის კანდიდატურა ჯერ არ არის დამტკიცებული. მინისტრობის კანდიდატი რაღაცეებს შეცვლის, სადღაც ვიღაცის რჩევას მოუსმენს, რეფორმები ყველა ვარიანტში წავა. ყიფიანი უფრო საფეხბურთო ამბებიდან მოდის და ახალ როლში მეტი დატვირთვით შევა. მეტი ფედერაცია, მეტი გასარჩევი თემა, მეტი მოსაგვარებელი პრობლემა და მეტი კომპლიმენტი მეტ ადამიანს. სპორტულ საზოგადოებაში ლევან ყიფიანს იცნობენ. ახალი დატვირთვით უფრო გაიცნობენ და ეს საუბარი უფრო საინტერესო იქნება.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ლევან ყიფიანი სტუმრად "24 საათის" რედაქციაში

გიორგი ბახაურის ფოტო

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

N10/10/06 2012 წლის 10 ოქტომბერი ქ. თბილისი

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად:

1. 2012 წლის 11 ოქტომბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) ორი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ყველას კონკურსის გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში.

3. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი, უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება და არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილება.

4. სამეურვეო საბჭოს წევრის (მეურვის) კანდიდატად პირის რეგისტრაციისათვის ღია კონკურსის სამდივნოში (მისამართი: ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქ. N1, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია) წარდგენილი უნდა იქნეს:

ა) მსურველის წერილობითი განცხადება ან წარდგინება, რომელსაც თან ახლავს წარდგენილი პირის თანხმობა;

ბ) ავტობიოგრაფია ან CV;

გ) კანდიდატის ერთი ფოტოსურათი;

დ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) არანაკლებ 5 წლის მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სარეკომენდაციო ხასიათის წერილები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) ხელწერილი, რომ პირი გაეცნო სამეურვეო საბჭოს წევრისათვის მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლით გათვალისწინებულ ინტერესთა კონფლიქტის პირობებს.

5. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 10 დღეში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს სამეურვეო საბჭოს წევრობის (მეურვის) კანდიდატების სიის გამოქვეყნება.

6. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ღია კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით შექმნას ღია კონკურსის სამდივნო და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საჭირო ღონისძიებები.

მიხეილ სააკაშვილი

გიორგი თარგამაძე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა

"ქრისტიან-დემორკატების" ლიდერი გიორგი თარგამაძე გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრ უილიამ ჰეიგს შეხვდა. ქალაქ ბირმინგემში ბრიტანეთის "კონსერვატიული პარტიის" ყრილობის ფარგლებში გამართულ შეხვედრას "ქრისტიან-დემოკრატების" საერთაშორისო მდივანი გიორგი რუხაძეც ესწრებოდა.

"ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერები ასევე შეხვდნენ "კონსერვატორების" ერთ-ერთ ლიდერს, გაერთიანებული სამეფოს მინისტრს თვითმმართველობების საკითხებში ერიკ პიკალსს, თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების კომიტეტის თამჯდომარე ჯეიმს არბატნოტს და თავდაცვის ყოფილ მინისტრ ლიამ ფოქსს.

შეხვედრების მთავარი თემა საქართველოში ჩატარებული არჩევნები და "ქრისტიან-დემოკრატების" სამომავლო გეგმები იყო.

"ჩვენს ქვეყანაში პირველად ხდება ხელისუფლების ცვლილება არჩევნების გზით. ეს არის მნიშვნელოვანი მონაპოვარი და დემოკრატიისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი. დასავლურმა სამყარომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ საქართველომ დემოკრატიული განივთარება და ნატო-სა და ევროკავშირისკენ სვლა გააგრძელოს. ჩვენ, "ქრისტიან -დემოკრატები" აქტიურად ვაგრძელებთ ბრძოლას საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და გაძლიერებისთვის, რათა არ მოხდეს ერთი მონოპოლისტის მეორეთი ჩანაცვლება," - განაცხადა გიორგი თარგამაძემ შეხვედრებისას.

ბიუჯეტის დაზოგვის და ობიექტების უკეთ დაცვის მიზნით, მერიამ უსაფრთხოების საკუთარი სამსახური შექმნა

დედაქალაქის მერიამ უსაფრთხოების საკუთარი სამსახური შექმნა. "თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის შესახებ" დებულებას თბილისის მერმა გიგი უგულავამ ხელი უკვე მოაწერა. დოკუმენტი "საკანონმდებლო მაცნეშიც" გამოქვეყნდა.

უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის ამოცანაა მერიის ობიექტების, თბილისში არსებული ბაღების, პარკებისა და სკვერების, ასევე მერიისა და თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ამ ობიექტებში არსებული ქონების დაცვა. ამ საქმიანობას აქამდე შსს ასრულებდა, რისთვისაც დედაქალაქის მერია მას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას უხდიდა.

მერიის უსაფრთხოების სამსახურს, საჭიროების შემთხვევაში, თავად თბილისის მერის, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარისა და სხვა თანამდებობის პირების პირადი უსაფრთხოების დაცვაც მოეთხოვება.

გარდა ამისა, ახალი სამსახური ვალდებულია, თბილისის მერიის ობიექტებსა თუ მერიის და საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობებში არეულობის ან სხვა სახის სამართალდარღვევათა აღკვეთის მიზნით სწრაფი რეაგირება მოახდინოს. ასევე, თბილისის მერს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია დასაცავ ობიექტებზე უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების შესახებ. მერიის უსაფრთხოების სამსახურის მოვალეობაა, მასში შემავალი განყოფილებების საქმიანობის მონიტორინგი, თბილისის მერიის ორგანიზებით გასამართი ღონისძიებების უსაფრთხოების დაცვა, მოსამსახურეების მომზადებისა და სწავლების პროგრამების შემუშავება, საცნობარო მასალის შეგროვება.

დედაქალაქის მერიის უსაფრთხოების სამსახური შვიდი განყოფილებისგან შედგება: ორგანიზაციული უზრუნველყოფის, კონტროლის, სწრაფი რეაგირების, თბილისის მერიის ობიექტების დაცვის, თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობის დაცვის, თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ბაღების, პარკების და სკვერების დაცვის, თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის დაცვის.

სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თბილისის მერი. სამსახურის უფროსი თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია დედაქალაქის მერის წინაშე.

თბილისის საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი ჯაბა სამუშია აცხადებს, რომ მერიამ უსაფრთხოების სამსახურის სახით, ადგილობრივ დონეზე შსს-ს ალტერნატიული სტუქტურა ჩამოაყალიბა. სამუშიას თქმით, თბილისში წესრიგისა და მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად საქალაქო ბიუჯეტში სპეციალური მუხლი არსებობს, საიდანაც ამ მიზნებისთვის გამოყოფილი თანხა შსს-კენ მიიმართება და ამ ამოცანას შინაგან საქმეთა სამინისტრო წყვეტს.

თბილისის მერიის იურიდიული სამსახურის უფროს ირაკლი აბესაძის განმარტებით,

დედაქალაქის მერიის სისტემაში შექმნილი სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მერიის საკუთრებაში არსებული ობიექტების, მათ შორის ბარების, სკვერების დაცვას, მერიას საშუალებას მისცემს, უკეთესად დაიცვას ობიექტები და დაზოგოს თანხა, რომელიც ამ მიზნით იხარჯებოდა. როგორც აბესაძემ განაცხადა, ამ სამსახურის თანამშრომლებს იარაღის ტარების უფლება არ ექნებათ.

"აღნიშნული სამსახური გიგი უგულავას არ დაიცავს. მერის უსაფრთხოებაზე დაცვის სპეციალური სამსახური ზრუნავს," - განმარტა აბესაძემ და შენიშნა, რომ ახალი სამსახური თბილისის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

"საქალაქო სამსახური იქმნება თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, დებულებას ამტკიცებს დედაქალაქის მერი. როდესაც სამსახური შეიქმნება, ხდება მისი ასახვა მერიის დებულებაში. შემდეგ უნდა მივმართოთ საკრებულოს და უნდა მოვითხოვოთ ამ სამსახურის ასახვა თბილისის მერიის სისტემაში," - დასძინა აბესაძემ.

თბილისის მერის გადაწყვეტილებას "ქართული ოცნება" აპროტესტებს. საკრებულოს ჯერ ისევ მოქმედი წევრი, "რესპუბლიკელი" თინა ხიდაშელი ფიქრობს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში კუდ-ისა და სოდ-ის მოსალოდნელი გაუქმების შემდეგ უგულავა ძალოვან სტრუქტურას ქმნის.

"კუდ-ის თანამშრომლების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ იქ გადავა სამუშაოდ, ისინი, ვინც იციან, რომ თანამდებობებზე ვერ დარჩებიან. ამიტომ მხოლოდ იარაღის ტარებაზე არ არის ლაპარაკი. მეორეც, ამ სამსახურებში თუ ის ხალხი დასაქმდება, ვისზეც ჩვენ ვსაუბრობთ, იმათ თავად აქვთ იარაღის ტარების უფლება, ამიტომ მათ სამსახურს ექნება თუ არა ეს უფლება, იმას არ ნიშნავს, რომ ამ სამსახურში დასაქმებული პირები იარაღის ტარებას ვერ შეძლებენ," - აცხადებს ხიდაშელი.

ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადები, შესაძლოა, გაიმიჯნოს

2011 წლიდან თბილისში თითოეულ კილოვატ ელექტროენერგიას დასუფთავების საფასური - 5 თეთრი ემატება. ამ გადაწყვეტილებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. დედაქალაქის მერია დენისა და დასუფთავების გადასახადის გამიჯვნის საკითხს იდეის დონეზე ჯერ კიდევ ივლისში განიხილავდა. ამასთანავე, ჯერ კიდევ ივნისის თვეში, NDI დაკვეთით ჩატარებულ კვლევაში, ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ საკითხებად დასახელდა ნაგვის გადასახადის ელექტორენერგიის გადასახადთან მიბმა და კომუნალური მომსახურების ღირებულება.

ნაგვის გადასახადის ელექტროენერგიის გადასახადთან მიბმა ყველაზე მნიშნელოვან ადგილობრივ პრობლემად აგვისტოს თვეში გამოკითხულთა 67 პროცენტმა დაასახელა, რაც 1 პროცენტით აღემატება ივნისის მაჩვენებელს.

"თბილისის მერია დასუფთავებისა და ელექტროენერგიის გადასახადის განცალკევების რამდენიმე მოდელზე მუშაობს," - ამის შესახებ საკრებულოს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა კოკი იონათამიშვილმა გუშინ განაცხადა.

იონათამიშვილის განმარტებით, რადგან 1 000-ლარიანი ვაუჩერის პროგრამა არ განხორციელდება, მერია უკვე მუშაობს რამდენიმე კონკრეტულ ალტერნატიულ მოდელზე, თუ რა სქემით შეიძლება განცალკევდეს დასუფთავებისა და ელექტროენერგიის გადასახადები. იონათამიშვილს არ დაუკონკრეტებია, რა მოდელებზეა საუბარი. **"1 000-ლარიან ვაუჩერს თბილისის მოსახლეობა, სავარაუდოდ, კომუნალური გადასახადების დასაფარად გამოიყენებდა. თუმცა არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, ეს ვაუჩერი არ იმუშავებს. შესაბამისად, მერია მუშაობს კონკრეტულ ალტერნატიულ სქემაზე, რომელიც უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი და რომელსაც საკრებულოს სხდომა თვის ბოლოს განიხილავს,"** - აღნიშნა კოკი იონათამიშვილმა.

საკრებულოს პირველი სხდომა, დაახლოებით, ათ დღეში გაიმართება. საკრებულოს "ქრისტიან-დემოკრატიული" ფრაქციის წევრ ჯაბა სამუშიას განცხადებით, ფრაქცია საკრებულოს სხდომაზე ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადების განცალკევების საკითხს დასვამს. სამუშია საკრებულოს წევრებს, "ნაციონალურ მოძრაობასა" და "ქართულ ოცნებას" მოუწოდებს, მხარი დაუჭირონ მის ინიციატივას. იგი ასევე აცხადებს, რომ ფრაქცია საკრებულოს სხდომაზე წყლისა და ტრანსპორტის ტარიფების გადახედვის საკითხსაც წამოჭრის.

"რუსთავი 2-ის" და "მზის" წილები არჩევნების შემდეგ ორჯერ გაიყიდა

დათო გამისონია

თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ისა და "მზის" 40-40-პროცენტიანი წილები ბიზნესმენ გიორგი ყარამანიშვილს მიჰყიდა. საქმე ის არის, რომ ეს წილები კეზერაშვილის კომპანია "მედია ჯორჯიამ", რომელიც 2012 წლის 3 ოქტომბერს დარეგისტრირდა, 4 ოქტომბერს ლევან ყარამანიშვილისგან შეიძინა. ეს უკანასკნელი "რუსთავი 2"-ის 90 პროცენტის მესაკუთრე იყო. ანალოგიური ვითარებაა "მზის" შემთხვევაშიც: მისი 40-პროცენტიანი წილიც კეზერაშვილის კიდევ ერთმა კომპანიამ "ჯორჯიან მედიამ" (ისიც 3 ოქტომბერს დარეგისტრირდა) ლევან ყარამანიშვილისგან "რუსთავი 2"-ის წილთან ერთად იყიდა და გიორგი ყარამანიშვილს მიჰყიდა. წილების ფასი 5-დღიან შუალედში არ შეცვლილა. "რუსთავი 2"-ის 40 პროცენტი ორივე შემთხვევაში 500 000 აშშ დოლარი ღირდა, ხოლო "მზის" 40 პროცენტი - 250 000 აშშ დოლარი.

ტელეკომპანიების წილების ყიდვა-გაყიდვის მიზეზი უცნობია.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრესსამსახურში "24 საათს" მხოლოდ ის განუმარტეს, რომ "მაუწყებლობის შესახებ" კანონის თანახმად, კომპანიამ მაუწყებლის გასხვისების შესახებ მარეგულირებელს 10 დღეში უნდა აცნობოს. ეს ინფორმაცია კომპანიის შესაბამის დეკლარაციაში უნდა აისახოს და ვებგვერდზე გამოქვეყნდეს.

პრესსამსახურის ცნობით, წილის ყიდვისა და გაყიდვის საკითხი კომისიაში განხილვის საგანი არ იქნება და არც არანაირ ეჭვს იწვევს. **"ჩვეულებრივი გასხვისებაა, რაც ჩვეულებრივი მოვლენა და სამუშაო პროცესია,"** - აღნიშნავენ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრესსამსახურში.

რაც შეეხება ტელეკომპანიების მესაკუთრეებს, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, გიორგი ყარამანიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეგობარია. ისინი კიევის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტში თანაკურსელები იყვნენ. მის შესახებ პრეზიდენტმა 2005 წელს, საჯარო გამოსვლისას ისაუბრა. **"ჩემს მეგობარს გია ყარამანიშვილს წინაპრების მიერ აშენებული ოთხი სახლი ჰქონდა გაგრაში, სოხუმში, ბიჭვინთასა და ოჩამჩირეში. როდესაც გია ყარამანიშვილს ამ ოთხ სახლს დაუბრუნებენ და არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მისცემენ, მაშინ შეიძლება, იქ ჩატარებული არჩევნები კანონიერად ჩაითვალოს,"** - ამბობდა სააკაშვილი.

გიორგი ყარამანიშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზეც არის ნახსენები. ის 2011 წლის ოქტომბერში, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიასთან ერთად, კორეაში ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში, ბიზნესმენის რანგში იმყოფებოდა.

"რუსთავი 2-ის" 50-პროცენტიანი წილის მესაკუთრე ლევან ყარამანიშვილი კი, გავრცელებული ინფორმაციით, გიორგი ყარამანიშვილის ახლო ნათესავია. "რუსთავი 2"-ის 10 პროცენტი კი ამ ტელეკომპანიის დირექტორ გოგი გეგეშიძეს ეკუთვნის.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

"გადაბარება" გრძელდება

პირველი გვერდიდან

კითხვაზე, გეგმავს თუ არა სამინისტროში საკადრო ცვლილებებს, მინისტრობის კანდიდატი ამბობს, რომ ეს მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც თანამდებობას ოფიციალურად დაიკავებს. გუშინვე თინა ბურჯალიანმა წულუკიანს აცნობა, რომ მოქმედი მინისტრი ზურაბ ადეიშვილი 5 ოქტომბრიდან შვებულებაში იმყოფება.

"ვიცი, რომ იგი ავსტრიაშია, თუმცა თინა ბურჯალიანისგან დღეს მოვისმინე, რომ დამსახურებულ შვებულებაში იმყოფება. მე ნამდვილად არ მევალება, დავინტერესდე, თუ სად ატარებს კერძო პირი შვებულებას," - აღნიშნა წულუკიანმა.

გუშინვე სასჯელაღსრულების მინისტრობის კანდიდატი სოზარ სუბარი მოქმედ მინისტრ გიორგი ტუღუშს შეხვდა. სუბარის თქმით, ის სამინისტროში სიტუაციის გასაცნობად მივიდა.

"გადასახედია მიდგომები, რომლებიც ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. დღემდე სასჯელაღსრულება ორიენტირებულია არა ადამიანის რესოციალიზაციაზე და პატიმართა საზოგადოებაში ღირსეულად დაბრუნებაზე, არამედ პიროვნების განადგურებაზე. ეს შესაცვლელია," - განაცხადა სოზარ სუბარმა. მისივე თქმით, ამინისტიაზე მსჯელობა მას შემდეგ დაიწყება, რაც პარლამენტის უფლებამოსილება დამტკიცდება.

"პირველი შეხვედრის შემდეგ შთაბეჭდილება დამრჩა, რომ იმაზე მეტი პრობლემა დამხვდება და დახვდა გიორგის, ვიდრე წარმოგვედგინა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს მძიმე ვითარება ძალიან მალე გამოსწორდება. მოისპობა სისტემაში გამეფებული კორუფცია. ერთი კონკრეტული თანამდებობის პირის ფირმა სამმაგ ფასად ამარაგებდა ციხეებს, პატიმრები და მათი ოჯახები თავიანთ თავს თვითონ კვებავდნენ, იმის მაგივრად, სახელმწიფოს საკუთარ თავზე აეღო ეს ვალდებულება," - განაცხადა სუბარმა.

მოქმედი მინისტრის გიორგი ტუღუშის თქმით კი, სოზარ სუბართან ასეთი შეხვედრები მანამ გაგრძელდება, სანამ სუბარი სამინისტროს არ გადაიბარებს.

"ზოგადად სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ პრობლემებზე ვისაუბრეთ, გავაცანი არსებული სიტუაცია და მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში," - განაცხადა ტუღუშმა.

მოქმედ მინისტრს ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატი ამირან გამყრელიძეც შეხვდა. როგორც გამყრელიძემ განაცხადა, ზურაბ ჭიაბერაშვილთან ნაყოფიერი შეხვედრა გაიმართა. მინისტრობის კანდიდატის განმარტებით, მოქმედმა მინისტრმა ინფორმაცია მიაწოდა სამინისტროში არსებული მდგომარეობისა და იმ საკითხების შესახებ, რომელთა მოგვარებასაც თავად ჭიაბერაშვილი გადაუდებლად მიიჩნევს.

"ჩვენი წარგზავნილი ჯგუფები სამინისტროში მუშაობას აგრძელებენ, რათა ე.წ. გარდამავალი პერიოდი მაქსიმალურად ხავერდოვანი იყოს," - განაცხადა ამირან გამყრელიძემ. მისი თქმით, საუბარი პოლიტიკას არ შეხებია.

"განვიხილეთ გადაბარებისთვის საჭირო მიმდინარე საკითხები," - განაცხადა გამყრელიძემ და აღნიშნა, რომ შეხვედრები მომავალი ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. მისივე თქმით, სამინისტროში მცირე საკადრო ცვლილებები იგეგმება, რაც მხოლოდ პოლიტიკური თანამდებობის პირებს შეეხებათ.

შეხვედრა ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმაც შეაფასა. მისი თქმით, ამირან გამყრელიძეს მოუწევს ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამებში კარგად ჩახედვა და თითოეული პროგრამის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

"ამირან გამყრელიძე ამ დარგის სპეციალისტია და არ გასჭირვებია, ჩავსულიყავით გარკვეულ დეტალებამდე. ძირითადი პრინციპული საკითხები ავუხსენი და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ მშვიდობიანი გადაბარების პროცესში ის ამ თანამდებობაზე მუშაობის დაწყებას ძალიან მალე შეძლებს მას შემდეგ, რაც პარლამენტი შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს," - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

გუშინვე კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრობის კანდიდატმა გურამ ოდიშარიამ კულტურის მინისტრ ნიკოლოზ რურუას მოადგილეებთან კონსულტაციები გამართა და სამინისტროს მუშაობის სპეციფიკას გაეცნო. ოდიშარია სამინისტროში მეგობარ ხელოვანთან მერაბ თავაძესთან ერთად მივიდა.

"თავად მინისტრი ნიკოლოზ რურუა ფრანკფურტში იმყოფება ფესტივალზე. მე მის ოთხივე მოადგილეს შევხვდი, მოგვიანებით სამინისტროს სხვა თანამშრომლებიც შემოგვიერთდნენ. საუბარი შინაურული და მეგობრული იყო. მათ გამოვკითხე, რა პროექტები განახორციელა სამინისტრომ, ახლა რა პროექტებზე მუშაობს, რა იგეგმება მომავალში და სირთულეები სად არის. ნელ-ნელა ვეცნობი ვითარებას," - განაცხადა გურამ ოდიშარიამ და აღნიშნა, რომ მისი კანდიდატურას დამტკიცების შემდეგ საკადრო ცვლილებები მოხდება.

"მინდა, ჩატარდეს ხალხის და საზოგადოების გამოკითხვა. მათი აზრის გათვალისწინებით შეირჩევა კადრები და ჩამოყალიბდება სამინისტროს მუშაობის სპეციფიკა. ჩვენ ვქმნით სახალხო რესპუბლიკას, შესაბამისად, ხალხის აზრიც გათვალისწინებული იქნება," - განაცხადა კულტურის მინისტრობის კანდიდატმა და დასძინა, რომ სამინისტროში სისტემატურად ივლის და მუშაობის სპეციფიკას დეტალურად გაეცნობა.

კოლიციაში მინისტრებს ჯერ კიდევ ირჩევენ

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ ბიძინა ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრში გუშინ კონსულტაციები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მომავალი მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა სრულად კვლავ არ არის ცნობილი. საზოგადოებისთვის ცნობილი პირები ბიზნესცენტრში მიდიოდნენ. თუმცა, შალვა რამიშვილს, მამუკა არეშიძეს, ირაკლი ღარიბაშვილს, ლევან იზორიას, გია ხუხაშვილს და სხვებს მომავალი მინისტრების შესახებ არაფერი უთქვამთ. ივანიშვილთან გამართული კონსულტაციების გამო გაჩენილი ეჭვები კი სათბობ-ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა უარყო და რომელიმე პოლიტიკურ თანამდებობაზე საკუთარი კანდიდატურის დანიშვნა გამორიცხა.

კოალიციის წევრები არ მალავდნენ, რომ მოლაპარაკებები უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთანაც მიმდინარეობს, რომლებსაც ეკონომიკისა და ფინანსების მიმართულებით მუშაობის გამოცდილება აქვთ. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ფინანსთა მინისტრობის კანდიდატად კობა გვენეტაძე განიხილებოდა, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდში მუშაობს. კიდევ ერთი კანდიდატურა ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძეა. ის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში საქმიანობს. გუშინ ისიც ითქვა, რომ ისინი მინისტრის თანამდებობის დაკავებაზე უარს აცხადებენ.

ბიზნესცენტრში მოგვიანებით პარლამენტის რეგიონული პოლიტიკურ, თვითმმართველობის და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი ირაკლი ტრიპოლსკი და თიანეთში გამარჯვებული მაჟორიტარი ზაქარია ქუცნაშვილი გამოჩნდნენ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ისინი ბიძინა ივანიშვილთან მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონზე მსჯელობდნენ. ქუცნაშვილი ამბობს, რომ კანონი მთელი თავისი მოცულობით უნდა ამოქმედდეს, რათა მან ხელი შეუწყოს არა მარტო მცხეთა-მთიანეთის რეგიონის, არამედ ყველა რეგიონის განვითარებას. როგორც ქუცნაშვილი დასძენს, საუბრის ერთ-ერთი თემა ჯანდაცვის საკითხები იყო. "დღევანდელ კონსულტაციებზე ბიძინა ივანიშვილთან მინისტრთა კაბინეტის შესახებ არ გვისაუბრია," - აღნიშნავს ქუცნაშვილი. მან კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებზეც ისუაბრა. **"საქართველოს პარლამენტი სავარაუდოდ 19-20 ოქტომბერს შეიკრიბება. შემდეგ ახალი მინისტრთა კაბინეტის წარსადგენად კიდევ 10-დღიანი ვადაა დაწესებული. ასე რომ, ჯერჯერობით დრო არის,"** - ამბობს ზაქარია ქუცნაშვილი.

კოალიცია "ქართული ოცნების" კიდევ ერთმა წევრმა ვიქტორ დოლიძემ კი აღნიშნა, რომ მთავრობის ეკონომიკური გუნდის შემადგენლობა პარლამენტის პირველ სხდომამდე გახდება ცნობილი. **"კონკრეტული კანდიდატურების შესახებ ვერ ვისაუბრებ. თუმცა, მოლაპარაკებები სრულდება,"** - აცხადებს ვიქტორ დოლიძე.

კოალიციაში არც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მომვალი მთავრობის თავმჯდომარის ვივაობაა ცნობილი. როგორც დოლიძე ამბობს, კანდიდატურის შესახებ მსჯელობა გრძელდება.

საკუთარი ინფორმაცია

თომას მელია - ქართული დემოკრატიის წინსვლისთვის არჩევნებზე მეტია საჭირო

ამერიკის შეერთებული შტატები მიესალმება საქართველოს "ღირშესანიშნავ ტრანზიციას", მაგრამ თვლის, რომ "ქართული დემოკრატიის კონსოლიდაციისათვის არჩევნებზე ბევრად მეტია საჭირო."

უცხოური მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში, თომას მელიამ ვაშინგტონში, ატლანტიკურ საბჭოში დისკუსიის დროს განაცხადა.

მისი თქმით, არჩევნების შემდგომი ძალადობის საფრთხეს იგი "საკმაოდ რეალურად" მიიჩნევდა, მაგრამ არჩევნების შემდგომ, ორივე დაპირისპირებული მხარის მიდგომამ ამ საკითხისადმი მას ეს შიში გაუქარწყლა.

იგი იმედოვნებს, რომ მსგავს მიდგომას უფრო ხშირად იხილავს პოსტსაბჭოთა სივრცეში. როგორც მელიამ აღნიშნა, მუდმივი რეფორმების პოლიტიკა ხელს შეუწყობს საქართველოს მეტი სარგებელი მიიღოს მოვლენათა ამ "იმედისმომცემი განვითარებიდან".

„ქართულ ოცნება„ თინა კანდელაკის შესაძლო ელჩობას უარყოფს

რუსული სააგენტო "პოლიტრუსის" ინფორმაციით, არჩევნებში გამარჯვებული "ქართულ ოცნების" კულუარებში თინა კანდელაკს რუსეთში საქართველოს ელჩად განიხილავენ. სააგენტოს ინფორმაციით, თინა კანდელაკი ამ პოსტს საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შემდეგ დაიკავებს.

საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 2008 წლის 2 სექტემბრიდან ქართულმა მხარემ გაწყვიტა. რუსეთისა და საქართველოს ინტერესებს ამ ქვეყნებში შვეიცარია იცავს. აღსანიშნავია, რომ თინა კანდელაკი 2008 წლის ომის დაწყებაში ქართულ მხარეს ადანაშაულებდა, თუმცა აღნიშნავდა, რომ ეს პირადად სააკაშვილის ბრალი იყო. ამის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს ის წარმოადგენდა, რომ ქართველებს ბრძოლაც კი არ შეუძლიათ და ომის სურვილი ვერ ექნებოდათ.

კანდელაკი სააკაშვილის მწვავე კრიტიკით გამოირჩეოდა. თავის ბლოგში კანდელაკი სააკაშვილს ქვეყნის დანგრევაში სდებდა ბრალს და აცხადებდა, რომ სააკაშვილი თვითგანდიდების მანიით არის შეპყრობილი.

კოალიცია "ქართული ოცნების" საგარეო საქმეთა მინისტრობის კანდიდატი მაია ფანჯიკიძე თიკა კანდელაკის რუსეთში ელჩობის კანდიდატურას უარყოფს. მისი თქმით, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე საუბარი მანამდე ვერ იქნება, სანამ საქართველოს ტერიტორიაზე მას სამი სახელმწიფო ჰყავს აღიარებული.

უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე საქართველოში

2012 წლის ოქტომბრიდან განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, ახალი პროექტის ფარგლებში, შეისწავლის უმაღლესი განათლების გავლენას სამუშაო ძალის ფორმირებაზე საქართველოში.

პროექტის მიზანი და ამოცანები

პროექტის მიზანია, გააფართოოს არსებული ცოდნა საქართველოში უმაღლესი განათლებისა და დასაქმების ტენდენციების ურთიერთკავშირის შესახებ უმაღლესი განათლების სექტორის რეფორმის კონტექსტში და შეიმუშავოს რეკომენდაციები უმაღლეს განათლებასა და დასაქმების ბაზარს შორის ურთიერთკავშირის ეფექტურობის გაზრდისათვის.

პროექტის სპეციფიური ამოცანებია:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის რეფორმისშემდგომი პერიოდის კურსდამთავრებულთა დასაქმების ბაზარზე ინტეგრირების ტენდენციების შესწავლა;

- საქართველოს მოსახლეობის იმ კოჰორტის დასაქმების მაჩვენებლების აღწერა, რომელმაც უმაღლესი განათლება 2004 წლის შემდგომ პერიოდში მიიღო;
- მოცემულ კოჰორტაში დასაქმების მაჩვენებლების გაანალიზება სქესის, ეკონომიკური და სოციალური სტატუსის მიხედვით;
- უმაღლესი განათლების უკუგების მაჩვენებლების გამოთვლა სხვადასხვა სპეციალობებისათვის (ურთიერთკავშირი უმაღლეს განათლებაში ჩადებულ ინვესტიციასა და შემოსავალს შორის);
- უმაღლესი განათლების ეფექტის განსაზღვრა დასაქმების ალბათობაზე (სხვა ფაქტორებთან შედარებით);
- საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა უმაღლესი განათლების ხარისხის მიმართ;

ბ) რეკომენდაციების შემუშავება სამუშაო ძალის ფორმირებისა და გამოყენების სტრატეგიის გაუმჯობესებისათვის;

გ) საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზაცია რეკომენდაციების პაკეტის განხორციელებისათვის.

კონტექსტი

დასაქმება და მოსახლეობის შემოსავლის გაზრდა საქართველოში აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, რასაც ბოლო პერიოდში განხორციელებული კვლევებიც ადასტურებს. 2012 წლის ივნისში NDI-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის მონაწილეთა 60% დასაქმებას ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტად მიიჩნევს ქვეყანაში, ხოლო მათგან 70% ამჟამად უმუშევარია. ამ კვლევის შედეგები, აგრეთვე, ემთხვევა 2011 წელს G-PAC -ის მიერ განხორციელებული კვლევის დასკვნებს, სადაც გამოკითხულთა 70% უმუშევრობას ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევს, ხოლო 60% თვლის, რომ არასამთავრობო სექტორმა უფრო ინტენსიურად უნდა იმუშავოს ამ საკითხზე.

დასაქმების თემას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს პოლიტიკურ დისკურსშიც. ეს საკითხი გაშუქებულია ყველა პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამებში და ასახულია საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმაში. უმუშევრობის პრობლემატიკაზე სამუშაოდ შესაბამისი სამინისტროც კი შეიქმნა.

დასაქმების თემის აქტუალურობის მიუხედავად, საქართველოს ჯერ არ აქვს შემუშავებული დეტალური სამოქმედო გეგმა უმუშევრობის პრობლემის დასაძლევად. შესაბამისად, ქვეყანაში არსებობს დასაქმების ტენდენციების და ამ ტენდენციებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორების შესახებ სარწმუნო ემპირიული მონაცემების მოძიების საჭიროება.

განათლება ზოგადად და უმაღლესი განათლება კონკრეტულად ადამიანური კაპიტალის ფორმირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად მოიაზრება. სხვადასხვა კონტექსტში განათლების უკუგების მაჩვენებლების გამოთვლას მსოფლიოს მასშტაბით უამრავი კვლევა ეძღვნება. სხვა სიტყვებით, მეცნიერები და პოლიტიკოსები ცდილობენ გაარკვიონ, თუ როგორ მოქმედებს კერძო და სახელმწიფო ინვესტიციები უმაღლეს განათლებაში კვალიფიციური სამუშაო ძალის ფორმირებასა და საზოგადოების კეთილდღეობაზე? ეს საკითხი ნაკლებად არის შესწავლილი საქართველოში.

2004 წლიდან საქართველოს უმაღლესი განათლების სექტორში გატარებული რეფორმების ფონზე ეს თემა კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს, რადგან უმაღლესი განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანს უმაღლესი განათლების სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ნეთანიაჰუ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას აპირებს

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესახებ გამოაცხადა. ზუსტი თარიღი ჯერ უცნობია, თუმცა ვარაუდობენ, რომ არჩევნები 2013 წლის იანვარში გაიმართება. ნეთანიაჰუს განცხადებით, ქნესეთის არჩევნები, რაც შეიძლება, მალე უნდა გაიმართოს. მემარჯვენე ძალების კოალიცია, რომელსაც თავად პრემიერი უდგას სათავეში, ხელისუფლებაში 2009 წლიდან იმყოფება. ნეთანიაჰუმ ვერ შეძლო კოალიციის წევრებთან მომავალი წლის ბიუჯეტის შეთანხმება. კანონის თანახმად, მომავალი საპარლამენტო არჩევნები 2013 წლის ოქტომბერში უნდა გამართულიყო. ნეთანიაჰუ ამ ეტაპზე კვლავ რჩება პოპულარულ პოლიტიკურ ფიგურად

ამერიკულმა უპილოტოებმა პაკისტანში შეიარაღებული მებრძოლების ბანაკი დაბომბეს

პაკისტანის სპეცსამსახურების წარმომადგენელთა ცნობით, პაკისტან-ავღანეთის საზღვარზე ამერიკული უპილოტოებიდან განხორციელებული საჰაერო იერიშის შედეგად, სულ მცირე, 5 შეიარაღებული მებრძოლია ლიკვიდირებული. მათი განცხადებით, იერიში მებრძოლების ბანაკზე განხორციელდა, რომელიც პროვინცია ჩრდილოეთ ვაზირისტანის აღმოსავლეთით მდებარეობს. პაკისტანი სასტიკად ეწინააღმდეგება ამერიკის მხრიდან საჰაერო იერიშის განხორციელებას, რომელსაც ზოგჯერ მშვიდობიანი მოსახლეობაც ეწირება.

დაღესტანში ღვარცოფს 6 ადამიანი ემსხვერპლა

დაღესტნის ხელისუფლების განცხადებით, ქალაქ დერბენტში და სოფელ საბნოვაში ღვარცოფს 6 ადამიანი ემსხვერპლა, რომელთა შორის ერთი 10 თვის ბავშვია. ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა უწყების ცნობით, დატბორილია 320 სახლი. საშიშ ზონაში ცხოვრობს 1120 კაცი, მათგან 280 ბავშვია. ამ დროისათვის დაღესტანში წვიმა შეწყდა. დაზარალებული რეგიონის სანახავად გუშინ დაღესტანის პრეზიდენტი მაგომედსალამ მაგომედოვი გაემგზავრა. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაზე, სულ მცირე, 357 ადამიანი მუშაობს.

ლავროვი ირანზე ძალისმიერი ზეწოლის წინააღმდეგია

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, თეირანის წინააღმდეგ ძალის გამოყენება ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მოლაპარაკების პროცესს ჩაშლის. "პერიოდულად ისმის მუქარა, რომ თუ არ იქნა პროგრესი მოლაპარაკებებში, მხოლოდ ძალის გამოყენება რჩება. დიდი იმედი გვაქვს, რომ მსგავსი რამ არასდროს მოხდება," - განუცხადა მინისტრმა ჟურნალისტებს. ლავროვის თქმით, ახლა მთავარია, აქცენტის გადატანა ე.წ "ექსვეულისა" და ირანის მოლაპარაკებებზე მოხდეს. "ექსვეული," სადაც აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი და გერმანია არიან შესულნი, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოსთან და ევროკავშირთან ერთად, 2003 წლიდან მოყოლებული ცდილობს, ირანი ურანის გამდიდრების შეჩერებაზე დაიყოლიოს.

დასავლეთი შიშობს, რომ ირანს ბირთვული იარაღის შექმნა სურს, რასთან დაკავშირებითაც ქვეყანას მკაცრი სანქციები დაუწესეს. ირანი, თავის მხრივ, ირწმუნება, რომ მის მიზანს ატომური იარაღის შექმნა არ წარმოადგენს და ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება.

პოლიციამ პარიზის გარეუბანში ასაფეთქებელი მოწყობილობები აღმოაჩინა

საფრანგეთის პოლიციამ გუშინ ღამით პარიზის გარეუბანში სამალავი აღმოაჩინა, სადაც ასაფეთქებელი მოწყობილებები და მათი დამზადებისათვის საჭირო ელემენტები აღმოაჩინეს. "როიტერის" ცნობით, სამალავს გასულ უქმეებზე დაწყებული ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში მიაკვლიეს, რომელიც საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში მიმდინარეობს. ოპერაციის ფარგლებში უკვე დაკავეს 12 პირი, რომლებსაც, სავარაუდოდ, ისლამისტებთან აქვთ კავშირი.

საბერძნეთის პროფკავშირები მორიგ გაფიცვას 18 ოქტომბერს გამართავენ

საბერძნეთის უმსხვილესმა პროფკავშირებმა "GSEE"-მ და "ADEDY"-მ 18 ოქტომბერს მორიგი გაფიცვის შესახებ განაცხადეს. გაფიცვაში, სავარაუდოდ, ბანკების, უნივერსიტეტების, სკოლებისა და საავადმყოფოების თანამშრომლები მიიღებენ მონაწილეობას. გაფიცვა ევროკავშირის მორიგ სამიტს ემთხვევა, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, საბერძნეთისათვის მორიგი ფინანსური დახმარების აღმოჩენას განიხილავენ.

აშშ-ში პროტესტანტები უმრავლესობაში აღარ არიან

უკანასკნელი მონაცემებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში პროტესტანტები აღარ წარმოადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას. ამჟამად ამ რელიგიის მიმდევრად თავს ზრდასრული მოსახლეობის 48 პროცენტი მიიჩნევს. ხუთი წლის წინ ისინი 53 პროცენტს შეადგენდნენ. ამის მიზეზი გახდა ის, რომ გაიზარდა იმ ამერიკელთა რიცხვი, რომლებიც თავს რომელიმე რელიგიის მიმდევრად არ მიიჩნევენ. წელს პირველად არც ერთი პროტესტანტი არ იყო რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის. პროტესტანტები არ არიან არც აშშ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში.

მოამზადა თამთა კახაძემ

სირიის კრიზისი

პირველი გვერდიდან

სირიის კრიზისს კიდევ ერთხელ გამოეხმაურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი. ბან კი მუნმა ძალადობა დაგმო და მხარეებს სისხლისღვრის სასწრაფოდ შეწყვეტისკენ მოუწოდა.

შიდა დაპირისპირების გარდა, სირიას რთული მდგომარეობა აქვს სასაზღვრო პერიმეტრებზეც. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინო თურქეთის მოსაზღვრე ტერიტორიებზეა. ოფიციალური ანკარა რამდენიმე დღეა იმეორებს, რომ მას დამასკოსთან ომი არ სურს. თუმცა, ამის მიუხედავად, თურქეთის საგარეო უწყება აცხადებს, რომ ანკარა ყველაფერს გააკეთებს თავისი მოქალაქეების დასაცავად. **"ჩვენ ომი არ გვსურს, მაგრამ აღჩაყალისა და მიმდებარე რაიონების მისამართით სირიის მხრიდან ცეცხლი არ წყდება. ასეთ ვითარებაში კი გულხელდაკრეფილი ვერც ერთი მთავრობა ვერ დარჩება. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე. ველით ასევე, რომ ცეცხლს სირიის ოფიციალური ადმინისტრაციაც შეწყვეტს,"** - განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა სერჩუკ უნალმა.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა კი კონფლიქტის ესკალაციის შემთხვევაში თურქეთის მხარდაჭერის მზაობა უკვე გამოაცხადა. ამის შესახებ ანდერს ფოგ რასმუსენმა ბელგიაში ალიანსის წვერებთან შეხვედრაზე განაცხადა. მისი თქმით, საერთაშორისო საზოგადოება სირიის კრიზისის დიპლომატიური გზით მოგვარებას კიდევ უნდა შეეცადოს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ნატო ვალდებულია, ალიანსის წევრის უსაფრთხოება დაიცვას. **"სირიის მხრიდან ყოვლად მიუღებელ თავდასხმებზე თურქეთის მოზომილი პოზიცია მისასალმებელია. ცხადია, თურქეთს აქვს უფლება, დაიცვას თავი საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში. ასევე აქვე დავამატებდი, რომ თურქეთს შეუძლია ნატო-ს სოლიდარობის იმედიც იქონიოს,"** - განაცხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

სირიასთან სასაზღვრო პერიმეტრზე ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში უწყვეტი თავდასხმების გამო თურქეთის მძიმე ტექნიკა ამ დრომდე რჩება გაძლიერებული მზადყოფნის რეჟიმში. უსაფრთხოების ზომები გამკაცრებულია დაშავებულთა ტრანსპორტირების თვალსაზრისითაც. სირიის მხრიდან თავდასხმა არც სასწრაფო დახმარების მანქანებზე გამოირიცხება, რომლითაც დაშავებულთა საავადმყოფოებში გადაყვანა ხდება. თურქეთის გარდა, დევნილებს იორდანიაც იფარებს, სადაც დახმარების მიზნით შეერთებულმა შტატებმაც უკვე გაგზავნა სპეცდანიშნულების რაზმები. ამ საკითხზე ბრიუსელის შეხვედრაზე ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამაც ისაუბრა. მისი თქმით, ამერიკის შეერთებული შტატები იორდანიის მხარესთან თანამშრომლობს სირიაში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ობიექტების მონიტორინგთან დაკავშირებით და ასევე ეხმარება სირიელ ლტოლვილებს საზღვრის უსაფრთხოდ გადაკვეთაში. **"ჩვენი ჯგუფები გვყავს იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ სირიაში განვითარებული მოვლენების შედეგების უსაფრთხოებაში,"** - აღნიშნა ლეონ პანეტამ ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე. პენტაგონის პრესმდივნის ჯორჯ ლითლის თქმით კი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მედიკამენტებისა და სასმელი წყლის მიწოდებაზეც იზრუნა, რათა იორდანიაში მყოფი სირიელი ლტოლვილებისთვის დახმარება კიდევ უფრო გაადვილდეს.

სირიის კრიზისი მხოლოდ ქვეყანაში სისხლისღვრით, მეზობელ ქვეყნებში დიდი რაოდენობით ლტოლვილებითა და თურქეთთან გართულებული ურთიერთობებით რომ არ ამოიწურება, ამას ლონდონში მომხდარი ფაქტიც ადასტურებს. ბრიტანელმა სამართალდამცველებმა ჰიტროუს აეროპორტში ტერორიზმში ეჭვმიტანილი ორი პირი დააკავეს, რომლებიც ლონდონიდან სირიაში გამგზავრებას გეგმავდნენ.

ჩრდილოეთ კავკასიაში არმიის გააქტიურებას ოლიმპიადას უკავშირებენ

პირველი გვერდიდან

ოფიციალურად მოსკოვი არ ადასტურებს თავდაცვის სამინისტროს აქტიურად ჩართვას კონტრტერორისტულ ოპერაციაში ჩრდილოეთ კავკასიაში, თუმცა ექსპერტები ამ საკითხს აქტიურად განიხილავენ და ამ ნახევრად ოფიციალური მოქმედებების მიზნებს ასაბუთებენ.

ეროვნულმა ანტიტერორისტულმა კომიტეტმა უარყო ჩრდილოეთ კავკასიაში თავდაცვის სამინისტროს შენაერთების გადასროლის ფაქტი. ამ კომიტეტის წევრმა, ფედერაციის საბჭოს პირველმა ვიცე-სპიკერმა ალექსანდრ ტორშინმა განაცხადა, რომ "თავდაცვის სამინისტროს არანაირი დამატებითი შენაერთები ჩრდილოეთ კავკასიაში არ შეუყვანია". მან ისიც უარყო, რომ კომიტეტის ბოლო სხდომაზე ეს საკითხი განიხილებოდა. მისი სიტყვებით, 9 ოქტომბერს საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების საკითხი განიხილეს. ტორშინმა ხაზი გაუსვა, რომ ამავე დროს ის არის ფედერაციის საბჭოს კავკასიის კომისიის ხელმძღვანელი; მუდმივ კონტაქტშია ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან და საზოგადოების გავლენიან წარმომადგენლებთან. არანაირი მინიშნება იმაზე, რომ იქ მასშტაბური კონტრტერორისტული ოპერაციები იგეგმება, არ ყოფილა. მით უმეტეს, არ არის გეგმებში საარმიო შენაერთების გადასროლა. ტორშინი ამტკიცებს, რომ სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში კონტროლდება, "ბანდფორმირებების" ხელმძღვანელების ნეიტრალიზაცია ხორციელდება მანამდე, ვიდრე ისინი რამეს დაგეგმავენ. მანვე დასძინა, რომ ინფორმაციული თვალსაზრისით ისეთ გახსნილ სახელმწიფოში, როგორიც რუსეთია, ამ ტიპის მასშტაბური ოპერაციის ჩატარება ვერც დაიმალებოდა. ტორშინი აზრით, ასეთი ხმების (იგულისხმება არმიის ოპერაციებში ჩართვა) გავრცელება მიანიშნებს, რომ ეროვნულ ანიტერორისტულ კომიტეტს მედიაში საკუთარი საქმიანობის უფრო ფართოდ გაშუქება სჭირდება.

ტორშინის განცხადება რუსული მედიისთვის "საკმარისი" არ აღმოჩნდა. სამხედრო ექსპერტები, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის საქმეებში კარგად ჩახედული მიმომხილველები აცხადებენ, რომ სიტუაცია რეგიონში ნამდვილად არ არის მშვიდი და სტაბილური. ბოლო პერიოდში შეიარაღებული იატაკქვეშეთის მებრძოლები შესამჩნევად გააქტიურდნენ, არის შეტაკებებიც და ტერორისტული თავდასხმებიც. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა ანერვიულდა. გადაჭრით ვერავინ ამტკიცებს იმას, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში დამატებითი საარმიო შენაერთების გადასროლა ნამდვილად მოხდა, მაგრამ ბრძოლებში ჩართული არიან ის სამხედრო ნაწილები, რომლებიც ისედაც დისლოცირებული არიან ჩრდილოეთ კავკასიაში. სამხედრო ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ამაში ახალი არაფერია, სამხედროები ყოველთვის ეხმარებოდნენ შინაგან ჯარებსა და უშიშროების ფედერალური სამსახურის სპეცრაზმებს მსხვილმასშტაბიან ოპერაციებში. ეს ხდებოდა 2006 წლის შემდეგაც, რაც თავდაცვის სამინისტროს შენაერთები მუდმივი დისლოკაციის ადგილებში დაბრუნდნენ ან იქვე ყაზარმებში შებრუნდნენ. არმიის მუდმივ მონაწილეობას კონტრტერორისტულ ოპერაციებში ადასტურებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციის "ჯარისკაცთა დედების" წარმომადგენლებიც. ამას გარდა, ბრძოლებში ყოველთვის აქტიურად იყვნენ ჩართულები თადაცვის სამინისტროს სპეცრაზმი და მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეცნაწილებიც, ისევე, როგორც სასაზღვრო ჯარები. მათ დიდი ხანია უარი თქვეს მხოლოდ საზღვრის ხაზის დაცვაზე და სიტუაციას უფრო ფართო ზონაში აკონტროლებენ.

მთავარი კითხვა ის არის, თუ ვის და რატომ დასჭირდა ახლა ამ თემის გახმოვანება მედიაში ან რატომ კეთდება ეს ნახევრად ოფიციალურად? მიმომხილველთა ნაწილი ამას რიგი სამხედრო თუ სამოქალაქო ჩინოვნიკების კომერციულ ინტერესებს უკავშირებს. ვიღაცას, ვინც დღეს უკვე ითბობს ხელს შექმნილ სიტუაციაში, შეიძლება, რეგიონში მსხვილი ივესტიციების შესვლა არ აწყობდეს. ფედერალური ცენტრი საკმარისად ვერ აფინანსებს ჩრდილოეთ კავკასიას და პრემიერი მედვედევი აქტიურად მოუწოდებს ადგილობრივ ხელისუფლებას, კერძო ინვესტიციები დამატებით მიიზიდონ. მსხვილი ინვესტიციები რეგიონში მხოლოდ სტაბილურ და მშვიდ გარემოში შეიძლება შევიდეს, ამჟამინდელი კორუმპირებული ხელმძღვანელები კი, შეიძლება, ატეხილი ხმაურით "ინვესტორებს აფრთხობენ". ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ აქ საქმე არ შეიძლება გვქონდეს ინტერესთა კონფლიქტთან, ცენრალურ და ადგილობრივი ხელისუფლებას შორის კოორდინაციის უქონლობასთან ან ვინმეს კერძო ინიციატივასთან. ყველა შემთხვევაში, სიტუაციას მოსკოვი მართავს.

მეორე ვერსია, რის გამოც შეიძლება კრემლმა გადაწყვიტა სამხედროების საქმეში ჩართვა, ეს არის სოჭის ოლიმპიადა, რომელიც 1014 წელს უნდა გაიმართოს. სიტუაცია ჩრდილოეთ კავკასიაში ნამდვილად არ არის სტაბილური და ზუსტად ვერავინ იტყვის, თუ რა სიტუაცია შეიძლება იყოს ორ წელიწადში. აქედან გამომდინარე, კრემლი ანერვიულდა და საქმეში "ბოლო რეზერვი" ჩართო. თან ამის გახმაურება ნიშნავს, რომ მოსკოვმა რეგიონში საკუთარი პოლიტიკის მარცხი უნდა აღიაროს.

მოკლე ხანში გამოჩნდება, რამდენად სერიოზულად ჩაერთვება საქმეში არმია, თუმცა ოლიმპიადის ფაქტორის გათვალისწინებით ამაში გასაკვირი არაფერი იქნება. ამ ზაფხულში ლონდონშიც ოლიმპიადის უსაფრთხოების დასაცავად ბრიტანეთის ხელისუფლებამ არმია გამოიყენა. ქალაქში მრავალსართულიანი სახლების სახურავებზეც კი ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები განალაგეს. მით უფრო მოსალოდნელია ამ ტიპის გადაწყვეტილებების მიღება რუსეთში, ამ ქვეყნის ხელისუფლების "საბჭოთა" მენტალიტეტის, აგრეთვე საჯარო და საერთაშორისო ღონისძიებების ჩატარებისას უსაფრთხოების დაცვის "ტრადიციების" გათვალისწინებით.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘ

ᲣᲮᲘᲚᲐᲕᲘ ᲐᲛᲝᲪᲕᲐᲜᲔᲑᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თანამდებობად, სადაც მნიშვნელოვანია უშუალოდ თანამდებობა - მინისტრობა და არა - სფერო. კარგად გვახსოვს შემთხვევები, როდესაც კულტურის მინისტრად ინიშნებოდნენ ადამიანები, რომელთა ყოფნა მინისტრთა კაბინეტში უბრალოდ სასურველი იყო.

ჯერ არდამტკიცებული მინისტრები სამინისტროებში მივიდნენ და როგორც თავად ამბობენ, სფეროს ეცნობიან. ბატონი გურამ ოდიშარიაც გახლდათ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში სტუმრად და როგორც სატელევიზიო კომენტარებში განმარტა, მასსა და სამინისტროს თანამშრომლებს შორის შედგა დიალოგი, რომლის საფუძველზეც აპირებს, გაიგოს რა პროექტებია უკვე დაწყებული და სად არის სირთულეები.

მწერალ გურამ ოდიშარიაზე, როგორც მინისტრობის კანდიდატზე, ამ დღეებში მშრალი ინფორმაცია ბევრი დაწერილა და წაკითხულა. ფონად კი ბევრგან გვითქვამს და უთქვამთ, მისი განსაკუთრებულად ძვირფასი პიროვნული თვისებებისა და არაჩვეულებრივი ხასიათის შესახებ. მჯერა, ეს ყოველივე გარკვეულ გავლენას ახდენს საქმიანობაზეც და კულტურის სფეროს წარმომადგენლებს არ ექნებათ პრობლემა, ახალი მინისტრის სახით ეგულებოდეთ ადამიანი, რომელიც მათ სატკივარს, პრობლემებს, სიხარულს, დიდწილად კი პრეტენზიებს მოისმენს.

ბიოგრაფიულ ცნობებს გავექცევი და იმას ვიტყვი, რასაც მისი სახელი და გვარი ნებისმიერ დროსა და ვითარებაში მათქმევინებდა - მწერალი, რომელიც აფხაზეთის სიყვარულითა და ტკივილით არის სავსე და, რაც მთავარია, ავტორი, რომელსაც არ დაუზარებია ხშირად და მწვავედ შეეხსენებინა ჩვენთვის, რომ დასაბრუნებელია არა მიწა, არამედ ადამიანები და ის მზად იყო, ეს შეეხსენებინა ყოველთვის, როდესაც ვომობდით ამ ადამიანებთან, როდესაც გვძულდა, როდესაც გვენატრებოდა, როდესაც ხელახალი ომი გვწყუროდა საყვარელი აფხაზეთის დასაბრუნებლად.

გურამ ოდიშარიას პიესამ რამდენიმე წლის წინ სამეფო უბნის თეატრში თემურ ჩხეიძეს დაადგმევინა სპექტაკლი "ზღვა, რომელიც შორია". ეს იყო წარმოდგენა-დიალოგი აფხაზსა და ქართველს შორის. ვინც ნახა ეს დადგმა, დღეს თამამად ამბობს, რომ ჩხეიძე-ოდიშარიას ტანდემმა თქვა იმაზე მეტი, ვიდრე რომელიმე პოლიტიკოსმა კონფლიქტების მოგვარების საკითხების კონტექსტში. "ზღვა, რომელიც შორია" არ არის მხოლოდ სენტიმენტები, როგორიც ბევრჯერ დაწერილა და თქმულა. ეს არის ჰუმანურობაზე დაწერილი ტექსტი, სადაც ადამიანის როლი და ადამიანი, როგორც მოვლენა, დგება კონფლიქტის ცენტრში, სამყაროს ცენტრში (რაც ასე უყვარს თემურ ჩხეიძეს) და არა მისგან შორს, როგორადაც ხშირად წარმოგვიდგენია აფხაზეთი - მიწა, ადამიანების გარეშე. აქვეა კონფლიქტის ანატომია და აქვეა ფსიქოლოგიური ლაბირინთებიც. გასაგებია, ეს ჩხეიძის თეატრი იყო და ბუნებრივია, რომ ოდიშარიას იდეები ძლიერმა რეჟისორმა მნიშვნელოვან და ძლიერ ტრაქტატად აქცია. ავტორს აქვს გამოცემული არაერთი წიგნი, პოეტური კრებული. ძალიან ხშირად უბრუნდება აფხაზეთისა და აფხაზების თემას. თუმცა აღნიშნული პიესა ყველაზე მძაფრად ალბათ იმიტომ დაგვრჩა გონებაში, რომ ის იმ დროს წაიკითხეს, როდესაც ვმღეროდით აფხაზეთის მთებისა და სანაპიროსთვის, თეთრი სანატორიისთვის, მდინარეებისა და ტბებისთვის. სამეფო უბნის თეატრის მაყურებელს კი ადამიანი მოაგონეს და საერთო ტკივილსა და სიძულვილს სხვა რაკურსიდან შეახედეს. ალბათ როგორიც არ უნდა იყოს გურამ ოდიშარიას მინისტრობა, მას, როგორც ავტორს, ამას ვერასდროს დავუვიწყებთ. მაგრამ გაზეთში, რომელსაც კითხულობთ, 2004 წლიდან ვწერ და ვწერ კულტურის სფეროში არსებულ ტენდენციებზე, წარსულზე, მიმდინარეზე და იშვიათად კიდეც შემომეპარება ხოლმე წინასწარმეტყველური აზრები. სამწუხაროდ. მახსოვს ინტერვიუები მინისტრებთან და მათი ინიციატივები. და ისიც მახსოვს, რა იქცა რეალობად და რა დარჩა ბოლო წლებში მომრავლებული პრესკონფერენციების თემებად მხოლოდ. ნამდვილად იყო "მწავე" და "რადიკალური" (ხშირად აუცილებელი) რეფორმები, რომელიც გიორგი გაბაშვილის მინისტრობას უკავშირდება და შემდეგ, ძირითადად ინერციით, სხვადასხვაგვარად წასული პროცესები. ერთად აღებული ამ წლების განმავლობაში ბევრი საინტერესო რამ დაგროვდება, რასაც ახალ მინისტრს აუცილებლად სიხარულით გააცნობენ სამინისტროს რიგითი თანამშრომლები, მათ შორის უმეტესი იქნება წიგნები, გამოცემები, ბუკლეტები. დასახელდება საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების ვრცელი ნუსხა. ნუსხა იქნება შთამბეჭდავი, მაგრამ ბატონი მინისტრი ვერ იგრძნობს წარსული პროექტების ხარისხს და დაიბნევა მიზნობრიობის საკითთან მიმართებაშიც. მაგრამ ეს არაფერი. ამ წლების განმავლობაში, ჩემი მეხსიერების გარდა, საზოგადოების მეხსიერებაც კარგად იტევს სტაჟიან და ურთულეს პრობლემებს. შეიძლება ამ პრობლემებზე წერის გამოცდილება მაძლევს უფლებას, აქ დავწერო იმ ყველაფრის შესახებ, რაზეც აუცილებლად მივანიშნებდი მომავალ მინისტრს, ის სფეროს გასაცნობად არა მარტო სამინისტროში რომ მისულიყო, არამედ რომელიღაც ჯერარგამართულ შეხვედრაზეც მოსულიყო, სადაც შეხვდებოდა სფეროს "დამკვირვებლებს" და ირიბად დაკავშირებულ საზოგადოებას.

გურამ ოდიშარიას რამდენიმე დღეში თუ კვირაში ჩაბარდება სფერო, რომელსაც აქვს მინელებულ-მიძინებული პრობლემები, მათ შესახებ ვიწრო ანალიტიკოს-კრიტიკოსების გარდა არ საუბრობს არავინ. ვერა და ვერ გახდა აქტუალური. გურამ ოდიშარიას ჩაბარდება სფერო, რომელიც საქართველოში დიდწილად ეფემერულ, სასიამოვნო და გასართობ სფეროდ მიაჩნიათ, თუმცა, თქვენ წარმოიდგინეთ, დროდადრო იდეოლოგიას მაინც მისით ვჭედავთ. მას ჩაბარდება ის გადაუჭრელი პრობლემები და ამოცანები, რომელთა შესახებაც არაფრისდიდებით არ მოუყვებოდნენ სამინისტროს ამჟამინდელი თანამშრომლები. ზოგიერთი იმიტომ, რომ საქმეს არ გაუადვილებდა, ზოგიერთიც კი იმიტომ, რომ ეს საქმე არ უწყოდა. გურამ ოდიშარია არ იბარებს მხოლოდ ძირძველი ქვეყნის ძირძველ კულტურას, ის ხდება მმართველი თანამედროვე საქართველოს თანამედროვე კულტურის ტენდენციებს, რომელთა შორის უმეტესის დინება კორექტივებს საჭიროებს. დამავიწყდა მეთქვა, რომ ის ამ ეტაპზე ეცნობა სამინისტროს, სადაც მთავარი დეპარტამენტი არის ღონისძიებების დეპარტამენტი და სადაც ღონისძიებები დიდწილად კონცერტებად მოიაზრება.

საქართველოს კულტურის სამინისტრო ის სამინისტროა, სადაც ოფიციალური კონკურსი კადრების შესარჩევად არ გამოცხადებულა არასდროს. მათ შორის, არც რევოლუციის შემდეგ. ანუ როდესაც ის გამოცხადდა სხვა სამინისტროებში. შესაძლოა ბევრგან ამ კონკურსებს არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა და პირობითი იყო, თუმცა არც ასე არ იქნებოდა საქმე. სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ კულტურის სამინისტროში კადრების შერჩევა ხდებოდა ნაცნობობისა და პარტიული ნიშნით მხოლოდ. არა, ნამდვილად იყო სხვაგვარი შემთხვევებიც. თავში უფრო, ვიდრე შემდგომ, მაგრამ მაინც.

ახალმა მინისტრმა უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ საუბარია იმაზე, თუ რა იყო და თუ როგორი შედარებით უკეთესია აწმყო, საზოგადოებას მობეზრებული აქვს. საქმისთვისაც აჯობებს აბსოლუტურ ხარისხზე გვქონდეს პრეტენზია და იქნებ ოდნავ მაინც მივუახლოვდეთ მას?! მოკლედ, კულტურის სფეროთი დაინტერესებულთ და ამ სფეროში მომუშავეთ ჰქონდათ და აქვთ პრეტენზია, სამინისტროში პროფესიონალები იხილონ. არა მმართველი პარტიის ფავორიტები, არც ამ ფავორიტების ახლობლები, არამედ ენთუზიასტი, ნიჭიერი, მშრომელი პროფესიონალი ადამიანები, რომლებსაც ექნებათ უნარი მენეჯერობისა (უნარი - რაკი საქართველოში ამ მიმართულებით პრაქტიკა რთული დასაგროვებელია) და ეცოდინებათ იმ სფეროს სპეციფიკურობა, რომელთანაც ექნებათ შეხება - თეატრი, კინო, მუსიკა, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება, ლიტერატურა, საგამომცემლო საქმე, საგამოფენო საქმე, სახელოვნებო განათლება, საზოგადოებასთან ურთიერთობა...

ახალმა მინისტრმა უნდა იცოდეს, რომ ყველა ამ სფეროში ცალკეული განსხვავებული პრობლემებია, მაგრამ ვიდრე ამ ცალკეულ განსხვავებულ პრობლემებს ეტაპობრივად შეეჭიდებოდეს, მანამდე ერთი საერთო, ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაც უნდა გაიაზროს - საჩქაროდ უნდა შეიქმნას ან გამოინახოს რესურსი, რომლითაც პერმანენტულად დაეხმარებიან გარედან შესულ ინიციატივებს, მცირე პროექტებსა და წამოწყებებს და ეს აქტი არ უნდა იყოს არც მხოლოდ ერთგული ფავორიტებისთვის და არც სპონტანურად გარკვეულ ელიტურ წრეში დაგეგმილი პროექტებისთვის, რომლებიც აუცილებლად ამოვარდებიან სფეროში არსებულ მოთხოვნილებათა სისტემიდან. ამა თუ იმ სფეროთი დაინტერესებული საზოგადოებისთვის უნდა არსებობდეს თავისუფალი რესურსი, რომელიც გაიცემა ინიციატივისთვის. ბევრისთვის, რომ ცოტა ხარისხიანი გამოვლინდეს. ბევრისთვს, რომ კიდევ უფრო ბევრი ინიციატივა გამოჩნდეს. მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის. მხოლოდ ასეთ გარემოში შედგება კონკურენტული სივრცე სამართლიანობის განცდით და მხოლოდ ასეთ სივრცეში შეიქმენა ხარისხიც.

სასურველია ახალ კულტურის მინისტრს საკუთარ გუნდთან ერთად ბოლომდე ახსოვდეს, რომ კულტურა ვითარდება და ყალიბდება არა მაშინ, როდესაც კრიზისულ ვითარებაში ფინანსური რესურსის 80 პროცენტი საერთაშორისო საგასტროლო პროექტებში იდება, ანდა სტუმრებში, არამედ როდესაც ძირითად რესურსს დებ ადგილობრივი პროცესების განვითარებისთვის და საფუძვლის მომაგრებისთვის.

კულტურის ახალი მინისტრი გახდება ხელმძღვანელი აქამდე აბსოლუტურ პრიორიტეტად არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგიისაც. რასაც ახორციელებს სამინისტროს ქვემდგომი ორგანიზაცია - სააგენტო. ახალ მინისტრს ეს საქმე ბარდება ყველაფრის ისტერიკულად ხელახლა შენების და შელესვა-შებეტონების გამოცდილებით და ნუ იფიქრებს ვინმე, რომ ერთი მარტივი ბრძანებით შეიცვლება აქ რამე. აღნიშულ საკითხებთან მიმართებაში მინისტრი დადგება საქართველოს საპარტიარქოს პირისპირ, ანდა სულ მცირე რომელიმე პრეტენზიული მამაოს პირისპირ და ეს უკვე კმარა საიმისოდ, რომ სადღაც ახმაურდნენ. მეორეს მხრივ, არის კიდევ სხვა საზოგადოება, რომელიც, მართალია, არ ხმაურობს, მაგრამ კომპრომისების ხარჯზე დაზიანებული ძეგლები სულაც არ ხიბლავს და არ ხიბლავს არც კომპრომისები, რასაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობები ეწირება, ვიდრე სასულიერო პირთა ყოფითი პრეტენზიებია.

ახალმა მინისტრმა იმაზეც უნდა იმუშაოს, რომ კულტურის პოლიტიკა რეგიონებში აღარ შემოიფარგლებოდეს მისი ვიზიტებით და სტუმრიანობებით ამ რეგიონებში, ანდა საჩუქრად ერთჯერადად გადაცემული ტექნიკით, ანდა, სულაც, წიგნებითა და სურათებით. რეგიონებში არ არსებობს ინსტიტუციები, სადაც ადგილობრივად განვითარდება რამე. ურთულეს ვითარებაშია სახელოვნებო სკოლები, ისიც თუკი სადმე შემორჩა. რეგიონებში თბილისიდან იმპორტირებული ერთჯერადი კულტურული კონცერტები და გამოფენები იმართება და ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რეგიონული პოლიტიკა კულტურაში გვაქვს. ამ მიმართულებით არსებული დეპარტამენტი აქამდე არანაირ ინფორმაციას არ ავრცელებდა პრესისთვის, ყოველ შემთვევაში, ჩემთვის. შესაბამისად, წვრილად ინფორმაციას ვერ ვფლობ.

ინფორმაციაზე მომაგონდა, კულტურის სამინისტრო ვალდებული უნდა იყოს ინფორმაცია გასცეს ნებისმიერ იმ საკითხზე, რაც კანონით საჯაროა. მათ შორის, ფინანსურ დანახარჯებზე. მნიშვნელოვანი ინფორმაცია ხშირად არ ცხადდება საჩვენებელ პრეზენტაციებზე.

საქართველოს კულტურის მინისტრს გადააბარებენ საქართველოს ისტორიაში ღია იარებად არსებულს საკითხებს. ისინი პერიოდულად მწვავდება, მაგრამ აქამდე სახელმწიფოს ნება და საშუალებები არ ეყო მათ მოგვარებლად:

1. დავით გარეჯის პრობლემა;
2. ტაო-კლარჯეთის უკვე თავის დინებაზე მიშვებული პრობლემა;
3. სახელოვნებო განათლება, რომელიც მეტისმეტად უხარისხო და უფულოა. აუცილებელია გაცვლითი პროგრამების ამუშავება, როგორც სტუდენტების, ისე პედაგოგების. ამას გარდა, უნივერსიტეტებში არა ნებით არჩეულ, არამედ "ზემოდან" დანიშნულ რექტორებს, კონსერვატორიაში თუ არა, სხვაგან, სავარაუდოდ, აუჯანყდებიან თანამშრომლები;
4. ასევე, სავარაუდოდ, მალე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ან მხოლოდ ანჩისხატის მრევლი მიტინგს გამართავს საქართველოს ხელოვნების მუზეუმთან და მოითხოვს ხატების მუზეუმიდან ღია ეკლესიებში დაკიდებას. მუზეუმის თანამშრომლები ორად გაიყოფიან - ეკლესიურებად და კულტურულებად და მოითხოვენ მინისტრის გადაწყვეტილებას. ეს არ არის უბრალოდ ღიმილისმომგვრელი და მობეზრებული საკითხი. ეს ვერფორმირებული ფასეულობებისა და წესების საკითხია;
5. თანამედროვე ხელოვნებისთვის არარსებული სივრცის პრობლემა;
6. სახელოვნებო კრიტიკისა და კვლევისთვის არარსებული გამოცემები და არარსებული ფინანსები.

მთლიანობაში ეს ყოველივე და ამდენი იმიტომ დაგროვდა, რომ ზოგადად, და არა მარტო ამ სფეროში, სტრატეგიული, დაგეგმილი, თანმიმდევრულად გააზრებული მუშაობა გვიჭირს. სულ რაღაც გვიშლის ხელს. ვისიმე ვნება, პრეტენზია, უცოდინრობა და საქმის არსიყვარული. ეს ყოველივე ამდენი კიდევ იმიტომ დაგროვდა, რომ კულტურის სფეროში, ისე, როგორც არსად სხვაგან, ენდობიან სხვადასხვა დროს სხვადასხვა სოციუმის მიერ შექმნილ ავტორიტეტებს და საქმეებსა და დეპარტამენტებს ადამიანებს არგებენ და არა - პირიქით. სწორედ პრობლემათა სიმრავლე ალბათ კულტურის მინისტრობის ნებისმიერი კანდიდატის მიმართ ვიქნებოდით სკეპტიკურად განწყობილები და ვკითხავდით - შეძლებთ?

ერთი ადამიანი ვერ შეძლებს. გუნდი შეძლებს, გათვალოს სწორი ნაბიჯები. ოღონდაც იმ ანალიტიკოსების გაერთიანება, რომელსაც ექნება უნარი, იყოს თვითკრიტიკული და ხედავდეს პრობლემებს ყველანაირი სავარაუდოდ არსებული რაკურსიდან. მაგრამ სწორედ ეს ერთი ადამიანი არჩევს ამ გუნდს და ამ ერთმა უნდა შეძლოს ამ პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმაც.

ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲠᲘᲣᲛᲘ - 2012

5 ოქტომბერიდან მიმდინარეობს

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის 8,
18:00 - "არტისტერიუმი 2012"-ის გახსნა.

6 ოქტომბერიდან მიმდინარეობს

ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ჭანტურიას 8,
12:00 - "Nine Dragon Heads" (სამხრეთ კორეა), საერთაშორისო საგამოფენო პროექტის პრეზენტაცია;
14:00 - გალერეა "Y"-ის პრეზენტაცია, მინსკი, ბელორუსია;
16:00 - "ბანერები და დღიურები", პოლონურ-ბელორუსული საგამოფენო პროექტი;
18:00 - ვიტალი კომარის საჯარო ლექცია /"კომარი და მელამიდი"/, აშშ.

7 ოქტომბერიდან მიმდინარეობს

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი, ცაბაძის 6,
14:00 - "ჯვარედინი დამტვერვა", ლორა სენსონი /აშშ/, "ქართული ტექსტილის ჯგუფი", "ლურჯი სახლი" /საქართველო/, ერთობლივი პრეზენტაცია-ვორკშოფი;
გალა გალერეა, ათონელის 27,
19:00 - "ცა - 24 საათი", კოტე სულაბერიძის პერსონალური გამოფენა.

8 ოქტომბერიდან მიმდინარეობს

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი, სიონის 8,
13:00 - "განსხვავებები: ადამიანები პრობლემებით", Ghana ThinkTank-ის ვორკშოფი;
15:00 - იარო სლეპს, ჰიპ ჰოპი - ტექსტი/ტემპი, ვორკშოფი, აშშ;
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის 22,
14:00 - კენეტ ჰიუ, ლექცია/მასტერკლასი, დიდი ბრიტანეთი;
17:00 - "სამყურა", საერთაშორისო საგამოფენო პროექტი, ირლანდია, საქართველო, სომხეთი, პორტუგალია, საბერძნეთი;
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზი, გუდიაშვილის 7,
19:00 - საშა ჭავჭავაძე, "ტანსაცმელი რევოლუციისთვის", ლადო ფოჩხუა, "წიგნი ახალი ქართული
არისტოკრატიისთვის", აშშ.

9 ოქტომბერიდან მიმდინარეობს

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, გრიბოედოვის 22,
14:00 - ჯონანა ფოიტიგის და ლორა ლაზერის ლექცია/ვორკშოფი საჯარო ხელოვნების მეთოდოლოგიის შესახებ, აშშ; გოეთეს ინსტიტუტი, ზანდუკელის 16,
17:00 - "ზებრა", პოეზიაზე შექმნილი ფილმების ფესტივალის პრეზენტაცია, ტომას ვოლფარტი /გერმანია/; რუსთაველის თეატრი, რუსთაველის გამზირი 17;
20:00 - "საწყისში დაბრუნება", მარია საფრონოვა /რუსეთი/, ალექსანდრე ჩინჩალაძე /საქართველო/.

10 ოქტომბერიდან,

ბამბის და რკინის რიგის კუთხე, კინოს მოედანი,
19:00 - "მსხვერპლშეწირვა - სტატიკური დრამა", გიორგი ჯანიაშვილი, დავით ჯანიაშვილი.

12 ოქტომბერი, პარასკევი

"სვლა", სარა პელერენ-ოტ, გიომ შოსონ, საფრანგეთი, პერფორმანსი ტექსტით და მუსიკით, ორგანიზებული ფრანგული ინსტიტუტის მიერ, /ადგილი და ზუსტი დრო გამოცხადდება არტისტერიუმის მსვლელობისას/

13 ოქტომბერი, შაბათი

ელიავას ბაზრობის ტერიტორია,
14:00-18:00 - "აღმოაჩინე ელიავა: სტრიტვაიზ - ღია სახლი", ერთდღიანი ფესტივალი, ადგილ-სპეციფიკური
ინსტალაციები, პრეზენტაციები, აშშ/საქართველო;
15:00 - Ghana ThinkTank, "განსხვავებები: ადამიანები პრობლემებით", ინტერაქტიული სკულპტურა/პერფორმანსი;
17:00 - ჰიპ ჰოპ პერფორმანსი, იარო სლეპს/ირაკლი მაღრაძე.

ᲙᲔᲠᲫᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲪᲔᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ

ქართული კულინარია, როგორც ეროვნული იდენტობა

ᲑᲔᲚᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული კულინარია ისეთივე სფეროა ქვეყნის ისტორიის გასააზრებლად, როგორც არქიტექტურა, სიმღერა, დამწერლობა... ბოლო ათწლეულებში დასავლეთში უამრავი წიგნი შეიქმნა საკვების ისტორიის შესახებ, რომელთა ავტორები ანთროპოლოგები, ეთნოგრაფები, ხელოვნებათმცოდნეები, ფსიქოლოგები და ფილოსოფოსები არიან. ამ აურაცხელ ნაშრომებში საქართველოს სახელი, სამწუხაროდ, ორიოდეგან თუ გაიჟღერებს. მეორე მხრივ, კულინარია, როგორც კულტურის ნაწილი, გლობალიზაციის ეპოქაში საკუთარი იდენტობის გასააზრებლადაც გვჭირდება - ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, რა იგულისხმება მსოფლიო რუკაზე აღნიშნული სახელის ქვეშ - გეორგია...

ორი დღის წინ, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში პრეზენტაცია გაიმართა წიგნსა, სახელწოდებით "კერძთაყვანისცემა. კულინარიული მოგზაურობა დროსა და სივრცეში". ავტორმა რუსუდან გორგილაძემ ფოტოგამოფენის ფონზე წარმოგვიდგინა, რომელიც ასახავდა ქართული და, ზოგადადად, სხვადასხვა ერების კულინარიის ისტორიას, საკვების შესანახი და მოსამზადებელი ჭურჭლიდან დაწყებული - რეცეპტებით დამთავრებული, რომელთაგან უძველესი, ბაბილონური რეცეპტების ჩანაწერი თიხის ფირფიტა ძველი წელთაღრიცხვის 1750 წლით თარიღდება...

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ნაშრომი ქართული კულინარიის ისტორიის შესახებ ქართულ ენაზე პირველად შეიქმნა და, შესაბამისად, მისი მნიშვნელობა კულტუროლოგიური თვალსაზრისით ძალიან დიდია. წიგნი, როგორც მისი სათაურივე გვამცნობს, აგებულია დროისა და სივრცის კავშირებზე, იგი გვამოგზაურებს კონტინენტებსა და ათასწლეულებში და ეფუძნება ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებს, სხვადასხვა ხალხების კულტურის ძეგლებს, არქეოლოგიურ აღმოჩენებსა და არტეფაქტებს, ფილოსოფოსთა ნააზრევს, მოგზაურთა ჩანაწერებს და სხვა.

"საქართველოს კულტურის ისტორიაში მოგზაურობა კულინარიის ისტორიისათვის თვალის მიდევნებით გადავწყვიტე, - ამბობს რუსუდან გორგილაძე, - უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა თვალის გადევნება ისტორიაში ჩაკარგული იმ პარალელებისათვის, რომლებმაც ქართულ სინამდვილეს ის სახე შესძინა, რაც მას დღეს აქვს. სწორედ ამ განცდის გაზიარების ცდაა ეს წიგნი. რაც შეეხება მის კონცეფციას, ადამიანი ბევრს ფიქრობს საკუთარ იდენტობაზე, მით უფრო, როცა ემიგრაციაში ცხოვრობს. მე ინტიუტიურად მივაგენი ამ გზას, რასაც კულინარიის ხელოვნება ჰქვია და ეს საუკეთესო გზა აღმოჩნდა, რასაც მსოფლიო გამოცდილებაც ადასტურებს. თუ ქართველი და ევროპელი ადამიანი თანამედროვე ჩაცმულობის მიხედვით ძნელი გასარჩევია, ასევე ჰგავს ერთმანეთს მათი თანამედროვე საცხოვრებლებიც, ეროვნული სამზარეულოების შედარებისას კი ნათლად დავინახავთ განსხვავებას. მიუხედავად გლობალიზაციის შემოტევისა, ეროვნული სამზარეულო მაინც ინარჩუნებს თავისთავადობას, ამიტომ იდენტობის გამოხატვისა და შენახვა-გადაცემის მთავარი საშუალებაა".

ქართველებს, შუმერებისა და ეგვიპტელთაგან განსხვავევით, არ შემოგვრჩენია ქართველური ტომების მიერ მოხმარებული კერძების რეცეპტები, მაგრამ, საბედნიეროდ, გვაქვს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის მასალა, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს ადგილზე მსოფლიო ცივილიზაციაში.

წიგნის კონცეფცია ავტორმა ქართული კერძების ინგრედიენტების მსგავსად ააგო, უფრო სწორად, ამ ინგრედიენტების კვალს გაჰყვა: საიდან შემოვიდა და ვის შემოჰყვა, როგორ იცვალა სახე და რად იქცა. უცხო კულტურების კულინარიულ გავლენებს ისევე განიცდიან ქვეყნები, როგორც მათი ენა და, ზოგადად, კულტურა. ქართული კერძების კვლევისას გამოიკვეთა ინგრედიენტთა ჯგუფი, რაც ქმნის ზოგადად ქართულ გემოს. საერთოდ, ეროვნული გემო ინგრედიენტთა გარკვეული კომბინაციით იქმნება, შესაძლოა, ეს ინგრედიენტები ბევრგან ნახოთ, მაგრამ სხვა კომბინაციაში ისინი სხვა გემოს იძლევიან. ქართული გემო ყველაზე მეტად ინდურს ენათესავება, რადგან ორივე სანელებლებზეა დამოკიდებული. ე.წ "უცხო სუნელების" საქართველოში შემოსვლის ისტორიას წიგნში ორი თავი ეთმობა და ავტორი ორ სხვადასხვა შესაძლო ვერსიას გვთავაზობს.

წიგნის ქათულ ვერსიას თან ახლავს ოთხი ქართული კერძის რეცეპტი. ავტორის მიზანი რეცეპტების თავმოყრა არ იყო, მსგავსი დანართი უფრო იმის ილუსტრაციას წარმოადგენს, ქართულ ეროვნულ კერძს - "საცივს" რომელი კერძი ჰგავს სტრუქტურულად. აღმოჩნდა, რომ სპარსული "ფესენჯუნი", "ინდური ქათმის კარი ნუშით" და მექსიკური "მოლე პობლანო" ნათესავები ყოფილან.

რამდენიმე თვეში გამოვა წიგნის ინგლისური ვერსია და ჩაფიქრებულია მისი გამოცემა გერმენულ ენაზეც, რომელსაც ქართული რეცეპტების დანართი ექნება.

"რა როლსაც დღეს ასრულებს ნავთობი მსოფლიო ეკონომიკაში, ამ როლს საუკუნეების მანძილზე, და ჯერ კიდევ 400 წლის წინ, ასრულებდა სანელებლები. შეიძლება ითქვას, მსოფლიო ეკონომიკა იმაზე იყო დამყარებული, რა გზას გადიოდა სანელებლები და ეს პირდაპირ განსაზღვრავდა ოქროს კურსს. ამ მიზეზით დაფინანსდა უამრავი ექსპედიცია და მოხდა აღმოჩენები შუა საუკუნეებში. საკვების ეკონომიკა ქმნიდა იმ ძალას, რასაც იმპერიები ეყრდნობოდნენ. კოლუმბის აღმოჩენამ კი აბსოლუტურად შეცვალა მსოფლიოს ერთი ნახევარსფეროს არსებობის წესი, იმით, რომ მატერიკზე ჩამოიტანა ახალი საკვები," - გვითხრა რუსუდან გორგილაძემ, რომელსაც ნაშრომში ასევე ცალკე თავებად აქვს მოცემული სიმინდის, პომიდვრის, ზაფრანის, ჭადისა და ლობიოს ამბავი თუ ინდაურის თავგადასავალი, ასევე უცხო ქვეყნებიდან შემოსული ფრინველის ისტორია.

ქართული სამზარეულო კარგი სამზარეულოს ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებს: გემრიელია, მრავალფეროვანი, ჯანმრთელია და წარდგენის დახვეწილი ფორმები აქვს. შესაბამისად, საინტერესოა მისი გააზრება მსოფლიო სივრცეში, მით უფრო, რომ დმანისის ბოლოდრიონდელი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით, უძველესი ერექტიკული ადამიანის ნაშთი, ანუ მისი, ვინც საკვების დამუშავება დაიწყო, ევრაზიის ტერიტორიაზე საქართველოში აღმოჩნდა. ძოძუანას მღვიმის გათხრების მიხედვით საქართველოშივე აღმოჩნდა უძველესი ძაფის ნიმუშებიც, ისევე, როგორც უძველესია ჩვენში აღმოჩენილი ყურძნის წიპწები თუ პურის მარცვლები, რაც ქართველური ტომების მაღალგანვითარებულობის შესახებ მიუთითებენ.

რუსუდან გორგილაძე არა მხოლოდ ქართული კერძების ინგრედიენტებს იკვლევს, იგი გვაწვდის ანალიზს ისეთი ფენომენის შესახებ, რასაც სტუმარმასპინძლობის თუ ნადიმის ტრადიცია ჰქვია, რომელთა კვლევისას ავტორი ასევე იშველიებს ხელოვნების დარგებს - სიმღერა იქნება ეს თუ მხატვრობა. ილუსტრაციების სახით წიგნს ახლავს რუკები და ფოტომასალა, რომელთა გამოყენების საავტორო უფლება მკვლევარმა ოფიციალურად მოიპოვა სხვადასხვა ხალხების მუზეუმებიდან თუ კოლექციებიდან. რაც შეეხება წიგნის გარეკანს, რომელიც ასევე კონცეპტუალურია, მასზე მხატვარმა თამარ კაციტაძემ იმუშავა, მან ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველი ქალისა და მამაკაცის ფუგურები ხილითა და ბოსტნეულით შექმნა. წიგნის მაღალი პოლიგრაფია შპს "სეზანის" დამსახურებაა, ხოლო ქართველ მკითხველამდე მისასვლელად კი ამ საინტერესო ნაშრომს კომპანია "მაგთი" დაეხმარა.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ "ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ - ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲝᲑᲐ"

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივისა და პოლონეთის სახელმწიფო არქივების ორგანიზებული გამოფენა "საქართველო - ისტორია და თანამედროვეობა" პოლონეთის ქალაქებში 2014 წლამდე გაგრძელდება.

გამოფენა ვარშავაში 2012 წლის მაისში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გაიხსნა. ექსპოზიცია მოიცავს 24 ბანერს, სადაც წარმოდგენილია როგორც საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ისტორიული ფოტოები, ისე საქართველოს ქალაქების, სხვადასხვა რეგიონის, კურორტების, ტრადიციების, ქართული ხელნაწერების, ხალხური ცეკვის, ეროვნული სამოსის, არქიტექტურის, ხუროთმოძღვრების ძეგლების, დღესასწაულებისა და თანამედროვე საქართველოს სხვა ღირშესანიშნაობების ამსახველი ფოტომასალა. ფოტოების ავტორები არიან: დიმიტრი ერმაკოვი, ალექსანდრე როინაშვილი, ნიკოლოზ საღარაძე, ასევე, თანამედროვე ფოტოგრაფები - სერგო ედიშერაშვილი, გიორგი კვიჟინაძე, გოგა ჩანადირი, გიორგი მეურმიშვილი, გურამ წიბახაშვილი.

გამოფენა უკვე გაიმართა პოლონეთის ოთხ ქალაქში. ექსპოზიციისადმი დიდი ინტერესის გამო გადაწყდა, რომ ის წარმოდგენილი იქნება შემდეგ ქალაქებში: ტომაშუვ-ვაზოვეცკი (ნოემბერი, 2012); კატოვიცე (მარტი, 2013); გოჟუვ-ველკოპოლსკი (აპრილი, 2013); ლენჩიცა (მაისი, 2013) და კიელცე (აპრილი, 2014).

ლევან ყიფიანის ახალი პროგრამა

პირველი გვერდიდან

გიორგი ბუხაიძის დოკი

სპორტის მომავალი მინისტრი ლევან ყიფიანი

სპორტის ახალი ხელმძღვანელი გლობალურად შლის ყველაფერს. დავილაპარაკეთ დანიშვნის ეფექტზე, გამოსასწორებელ ნიუანსებზე და სად რა შეიცვლება. საინტერესო საუბარი გამოვიდა. რედაქციის სტუმარია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მომავალი მინისტრი ლევან ყიფიანი.

ლევან ყიფიანი: "სიმართლე გითხრათ, ყველაფერ ამას არ ველოდი. სპორტი ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილია. ფეხბურთის გარდა, სხვა სახეობებით ვიყავი დაინტერესებული, ვცდილობდი, რომ ყველაფრის საქმის კურსში ვყოფილიყავი. სპორტის მინისტრად ჩემი კანდიდატურის წამოყენება სასიამოვნო მოულოდნელობა იყო. პასუხისმგებლობისთვის მზად ვარ. ნუ, ჯერ ჩემი კანდიდატურა უნდა დამტკიცდეს. იდეაში, ძალიან ბევრი რამეა შესაცვლელი. ჩემს გუნდთან ერთად მაქვს ყველაფრის კონცეპტუალური ხედვა. საქართველოში სპორტი ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

- და ადრე არ იყო ხელმისაწვდომი?

- სპორტში შექმნილი სისტემა ზედმეტად პოლიტიზირებული იყო. დღეს ბევრი რაღაც იცვლება, მაგრამ ინერციით მაინც ისეა, როგორც - ადრე. სპორტი უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკისგან. პოლიტიკა ხელს უშლის სპორტის განვითარებას და სპორტში შემოქმედებას. ყველაფერი უნდა დაბალანსდეს და პროგრესი იქნება. ამას გეუბნებით არა მარტო, როგორც მინისტრობის კანდიდატი... არა, ჩათვალეთ, რომ გესაუბრებათ სპორტის ჩვეულებრივი გულშემატკივარი, რომელსაც ბევრი რაღაცის გამოსწორება უნდა. იმედი მაქვს, ბევრი რამ გამოსწორდება.

- ფეხბურთის გარდა, სხვა ფედერაციების მუშაობას აკვირდებოდით?

- ფეხბურთში უფრო ვარ ჩახედული, მაგრამ თავისთავად, დანარჩენ ფედერაციებსაც ვაკვირდებოდი, ვეცნობოდი იქ მიმდინარე პროცესებს. ის, რაც ფეხბურთში აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, სხვა ფედერაციებშიც დასალაგებელი იქნება. ჩვენი მთავარი პრობლემა არის დაშლილი ინფრასტრუქტურა. შედარებით კარგად მიდის ყველაფერი რაგბიში. სხვა ფედერაციებშიც ანალოგიურად უნდა ხდებოდეს ყველაფერი. ბევრი სახეობა განვითარდა, რაღაცეები შეიცვალა, მაგრამ დასალაგებელი მაინც ბევრია.

- ფეხბურთში ბევრი პრობლემაა?

- არანაირი ინფრასტრუქტურა, არ მუშაობს მწვრთნელების განვითარების პროგრამა, ბავშვებს არასწორად, უსისტემოდ აქცევენ ყურადღებას. რა თქმა უნდა, ეს ყველა სკოლას და მწვრთნელს არ ეხება, მაგრამ ძირითადად, ასეა. უამრავი ბინძური თამაში საქართველოს ჩემპიონატში. ეს წასაშლელია. მწვრთნელები უფრო პასუხისმგებლობით, პროფესიონალურად უნდა აკეთებდნენ საქმეს. ბევრი პრობლემაა და ამ პრობლემებს მოგვარება უნდა.

- პრიორიტეტული სახეობა ფეხბურთი იქნება?

- ფეხბურთი არა მარტო საქართველოში, საერთოდ, ყველგან პრიორიტეტულია. მაინც მინდა ვთქვა, რომ ფლაგმანი რაგბია. სათამაშო სახეობებში რაგბი ყველაზე წინ წავიდა, განვითარდა. პრიორიტეტი იქნება ჭიდაობის სახეობებიც. ეს ჩვენი, ქართული, სავიზიტო ბარათია. ბუნებრივია, ყურადღებას სხვა სახეობებსაც მივაქცევთ, მაგრამ პრიორიტეტი ამ სახეობებზე გაკეთდება. რაგბიში მოდის შედეგი, სრული პოტენციალის რეალიზება სწორად მოხდა. სპორტის სამინისტრო უნდა იყოს ფედერაციებისთვის ხელშემწყობი და არ უშლიდეს განვითარებას, პროგრესს. პროგრესი მოითხოვს დროს და სწორი აქცენტების გაკეთებას, ყველაფრის რაციონალურად გაანალიზებას. ყველაფერი სტრუქტურულად უნდა განვითარდეს. ჩვენთვის პრიორიტეტულია განვითარების ევროპული მოდელი, სადაც სპორტის განვითარებას ხელს უწყობს კერძო ბიზნესი. უნდა შემუშავდეს სწორი საკანონმდებლო პოლიტიკა, რაც ხელს შეუწყობს პრობლემების განვითარებას. რაგბი სამაგალითო სახეობაა. მთავარია, ყველა ფედერაციამ არსებული რესურსი საუკეთესოდ გამოიყენოს. წამოვა შედეგიც. აქცენტი მომავალზე, დაშვებული შეცდომების გამოსწორებაზე უნდა გაკეთდეს.

- კალათბურთი?

- ეს ცალკე თემაა. კალათბურთს, წყალბურთსაც უნდა მივხედოთ. კალათბურთში სერიოზული შედეგი გვაქვს. ზედიზედ მეორედ გავედით ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ეს წარმატებაა. ფინალურ ეტაპზე ვიგებთ რამდენიმე თამაშს. ეს უფრო დიდი წარმატებაა. სამწუხაროდ, კალათბურთშიც დანგრეულია ინფრასტრუქტურა. არ გვაქვს ნორმალური დარბაზები. ბავშვები უკეთეს პირობებში უნდა ვარჯიშობდნენ და თუ ეს პრობლემები მოგვარდება (და ყველაფერს ჩვენ უნდა მივხედოთ), უფრო მეტს ავიღებთ, მეტი გაკეთდება. პოპულარიზაციის მხრივ, კალათბურთი წინ მიდის და ეს ფედერაციის დამსახურებაა. ქუთაისი ქართული კალათბურთის მექაა და იქ სპორტის ამ სახეობის განვითარებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. სხვა ქალაქებმა, რეგიონებმაც უნდა მიიღონ მეტი დატვირთვა. უნდა წამოვიდეს მეტი, უკეთესი მწვრთნელი.

- მეთანხმებით, რომ ბოლო წლებში ყველაზე გამართულად კალათბურთის ფედერაცია მუშაობდა?

- დიდ პატივს ვცემ ამ ხალხს, ვმეგობრობ მათთან და ყოველთვის შემიძლია მათ ვენდო. კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ რაგბი და კალათბურთი სხვაზე უფრო დამოუკიდებლად აკეთებდა ყველაფერს. ასევე, ფარიკაობის ფედერაცია. ამ ფედერაციებში ბევრი რაღაც უმაღლეს დონეზე გაკეთდა, გაიმარჯვა რეალურად ადამიანურმა რესურსმა და იმედი მაქვს, რომ სხვაგან, სხვა სფეროებშიც მოვუმატებთ. რაგბის, კალათბურთის ფედერაციების შედეგი დანარჩენი ფედერაციებისთვის სამაგალითო იქნება. ვხედავ განვითარების, წინსვლის ბევრ გზას. სპორტული საზოგადოება არ უნდა იყოს ერთმანეთზე გადაკიდებული.

- თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

- თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს. ანუ, რაც მეტი პასუხისმგებლობა დამეკისრა, ამის შემდეგ აღარ მაქვს. ეს დრო შემდგომში კიდევ უფრო ცოტა იქნება. სამწუხაროდ, არ მრჩება დრო ოჯახისთვის, მეგობრებისთვის. მინდა, უფრო ხშირად ვიყო შვილებთან, ახლობლებთან ერთად და ვგრძნობ, რომ ამის ნაკლები შანსი მექნება. ძალიან მინდა, ყველას ნდობა გავამართლო და სპორტი უფრო საინტერესო, მაქსიმალურად დატვირთული, პოპულარული გახდეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სპორტი პოლიტიკისგან უნდა იყოს თავისუფალი და მეტს მივაღწევთ. იყოს ოპონირება, ყველაფერი ერთად გავარჩიოთ, მივიღოთ საუკეთესო გადაწყვეტილება. ყველაფერი ერთად გავიაროთ. სპორტული სამყარო უნდა გაერთიანდეს. ყველასთვის უკეთესი იქნება. ხომ ხედავთ, კითხვა თავისუფალ დროს ეხებოდა და მაინც საქმეში გადავედი. ვგრძნობ ახალ პასუხისმგებლობას და ყველაფრის ქვეყნისთვის სასიკეთოდ გაკეთებას ვეცდები.

სანიკიძის 3 ქულა და 3 მოხსნა

ვიქტორ სანიკიძის "სიენამ" ამერიკაში მორიგი საგამოფენო მატჩი გამართა. იტალიური გრანდი "სან ანტონიოსთან" დამარცხების შემდეგ კლივლენდში ჩავიდა და იქაურ "კავალიერსს" შეხვდა. სიენელებმა ეს მატჩი გაცილებით კარგად ჩაატარეს და საბოლოოდ ბრძოლაში - 85:91 წააგეს.

წინა მატჩისგან განსხვავებით, თავისი შესაძლებლობები კარგად ვერ წარმოაჩინა ვიქტორ სანიკიძემ. ქართველი ფორვარდი ხუთეულში არ ყოფილა და მთლიანობაში 22,38 წუთს ითამაშა. ვიქტორმა 7 ცდიდან 1 ორქულიანი ჩააგდო, რასაც 2-დან 1 საჯარიმო მიაბა და საბოლოოდ 3 ქულას დასჯერდა. ამასთან, სანიკიძეს 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარებაც ჰქონდა.

სიენელთაგან საუკეთესოები იყვნენ ბობი ბრაუნი (22 ქულა, 7 პასი) და მეტ ჯენინგი (21 ქულა), ხოლო "კლივლენდში" ქულები მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდა: სამუელსი 14, სლოანი 13, ტომპსონი 12, უეიტერსი 11, ირვინი და მაილსი 10-10.

ამით "სიენამ" დაასრულა ამერიკული ტურნე და ევროპაში დაბრუნდა. 12 ოქტომბერს სანიკიძის გუნდი ბერლინის "ალბასთან" დაპირისპირებით ჩაებმება ევროლიგის გათამაშებაში.

ახალგაზრდული ნაკრები დანიელებთან შესახვედრად მოემზადება

13 ოქტომბრიდან საწვრთნელ შეკრებას იწყებს საქართველოს 21 წლამდე ნაკრები გუნდი. ნაკრების თავკაცი - ალექსანდრე ჩივაძე ფეხბურთელებს სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" შეკრებს.

დიდი ხნის პაუზის შემდეგ ახალგაზრდულ ნაკრებს უბრუნდებიან "დინამო" თბილისის მცველი დავით ხოჭოლავა და "ზუგდიდის" ფორვარდი ირაკლი ქობალია. ამ ნიჭიერ და პერსპექტიულ ფეხბურთელებს ტრავმების გამო კარგა ხანი გაუცდათ. ორივე ახალგაზრდული ნაკრების საკვანძო ფიგურად განიხილებოდა და კარგია, რომ ტრავმის მოშუშების შემდეგ ისინი ბრუნდებიან ნაკრების შემადგენლობაში.

ახალგაზრდული ნაკრების დებიუტანტები არიან მოლდოვური "ზიმბრუს" ნახევარმცველი თორნიკე სტეფნიაშვილი და კრასნოდარის "ყუბანის" შუახაზელი კახა ხალვაში.

შეკრებაზე გამოცხადდებიან:

მეკარეები: გიორგი ნადირაძე ("სპარტაკი", ცხინვალი), კახაბერ მეშველიანი ("ზესტაფონი")

მცველები: მამუკა კობახიძე, თედო გრიგალაშვილი ("ზესტაფონი"), არჩილ ტვილდიანი, დავით ხოჭოლავა, გიორგი გაგნიძე (ყველა "დინამო" თბილისი), გიორგი ჯგერენაია ("გაგრა")

ნახევარმცველები: ვალერი ყაზაიშვილი ("ვიტესი", ჰოლანდია), დავით კირკიტაძე ("ჩიხურა", საჩხერე), ნიკა კვეკვესკირი, გიორგი პაპავა, ლაშა პარუნაშვილი ("დინამო", თბილისი), თორნიკე სტეფნიაშვილი ("ზიმბრუ", მოლდოვა), კახა ხალვაში ("ყუბანი", კრასნოდარი, რუსეთი)

თავდამსხმელები: ლაშა ჩაფიძე ("შუქურა", ქობულეთი), გიორგი ჭანტურია ("ვიტესი", ჰოლანდია), დავით სხირტლაძე ("ორჰუსი", დანია), ირაკლი ქობალია ("ზუგდიდი")

ახალგაზრდული ნაკრები 16 ოქტომბერს "მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონზე ამხანაგურ მატჩში დანიელებს უმასპინძლებს. შეხვედრა თბილისის დროით 17:30 წუთზე დაიწყება.

"მილანი" ზამთარში კოულის შეძენას შეეცდება

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში იტალიური "მილანი" ლონდონის "ჩელსის" ეშლი კოულის ტრანსფერის თაობაზე მიმართავს. 31 წლის მარცხენა მცველსა და ლონდონურ კლუბს შორის არსებული კონტრაქტის ვადა მომავალი წლის ზაფხულში ამოიწურება. "ჩელსი" კოულს კონტრაქტის გაგრძელებას მხოლოდ ერთი სეზონით სთავაზობს, რაც ფეხბურთელს არ აწყობს და, შესაძლოა, მხარეებს შორის შეთანხმება საერთოდ არ მოხერხდეს. ამ ფონზე კოულისთვის "მილანის" ვარიანტი იდეალურად გამოიყურება. პრინციპში, არც "ჩელსი" იტყვის მცველის გაყიდვაზე უარს.

დომენეკმა მემუარების წერა დაიწყო

საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა რაიმონ დომენეკმა მემუარები დაწერა. წიგნი სულ მალე გამოვა გასაყიდად. მემუარებში გამოყენებულია დომენეკის დღიურების მასალები. რაიმონ დომენეკი საფრანგეთის ნაკრებს 2004-დან 2010 წლამდე ედგა სათავეში და, როგორც ირკვევა, ამ ხნის განმავლობაში მუდმივად აწარმოებდა დღიურს. წიგნის სათაურია "სრულ მარტოობაში". დომენეკი ყვება, თუ როგორ ებრძოდა ფეხბურთელებს, ჩინოვნიკებს და ჟურნალისტებს. "სამფეროვანთა" ყოფილი თავკაცის თქმით, ამ წიგნში სრულად იქნება მოთხრობილი იმ ამბოხის შესახებ, რომელიც 2010 წლის მუნდიალზე მას ფეხბურთელებმა მოუწყვეს.

ანაპურნას საფარქვეშ უზბეკთა ექსპედიცია მოყვა

გიგა გურასაშვილი

ნეპალის მთებში სასიმაღლო ასვლების კლასში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატისას უზბეკ ექსტრემალებს თავს ზვავი დაატყდათ. აქედან ორი დღემდე უგზოუკვლოდაა დაკარგული.

უზბეკეთის ნაკრებს ჩემპიონატის სხვა მონაწილეებთან ერთად 7 ოქტომბერს უნდა დაეპყროთ ჰიმალაის რვაათასიანებში ერთ-ერთი ურთულესი მწვერვალი ანაპურნა (8091 მ.), რომელიც დედამიწის სიმაღლით მეათე მწვერვალის სტატუსით სარგებლობს. ზვავი სწორედ ასვლისას დაატყდათ ექსპედიციის წევრებს.

ამჟამად მიმდინარეობს დაკარგული ორი მთამსვლელის - ილიას ტუხვატულინისა და ივან ლობანოვის სამძებრო სამუშაოები. უზბეკეთის ალპინიზმისა და მეკლდეურობის ფედერაციის ცნობით, ჯგუფის დანარჩენი წევრები საბაზო ბანაკში იმყოფებიან.

მოწინავე უზბეკ მთამსვლელთა ჯგუფი ნეპალში 20 სექტემბრიდან იმყოფება. ექსპედიციას სათავეში უდგას ცნობილი მთამსვლელი, საერთაშორის კლასის ოსტატი ილიას ტუხვატულინი.

ნაკრებში ირიცხებიან ქვეყნის რვა უძლიერესი მთამსვლელი. ექსპედიციის თითოეულ მონაწილეს აქვს საკმაო გამოცდილება სასიმაღლო ასვლებისა. მათ შორის პამირის, ტიანშანისა და სხვა მაღალმთიან რაიონებში ტექნიკურად ურთულესი მარშრუტების გავლის გამოცდილება.

ისიც ვთქვათ, რომ ანაპურნა (სანსკრიტიდან ითარგმნება როგორც "ნაყოფიერების ქალღმერთი") მსოფლიოს ერთ-ერთ ურთულეს და სახიფათო მწვერვალადაა მიჩნეული. სიკვდილიანობის ზოგადი სტატისტიკით 38-პროცენტიანი მაჩვენებლით პირველ ადგილზეა. აი, თანამედროვე ალპინიზმში კი ანაპურნა ნაკლებად სახიფათოდ მიიჩნევა (1990 წლიდან მოყოლებული სიკვდილიანობის სტატისტიკით ანაპურნა მხოლოდ სიმაღლით მესამე მწვერვალს კანჩენჯანღას (8586 მ.) ჩამოუვარდება - 19,7 პროცენტი 22 პროცენტის წინააღმდეგ).

ამასთან პირველია რვაათასიან მწვერვალებს შორის, რომელიც ადამიანმა დალაშქრა (1950 წლის 3 ივნისს). პირველდამპყრობები კი იყვნენ ფრანგები მორის ერცოგი და ლუი ლაშენალი.

ჯანო, რომელსაც იცნობს იკერ კასილასი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

იმ დროის განმავლობაში, რაც ქართველი ნახევარმცველი "სპარტაკში" თამაშობს, ის რუსული ფეხბურთის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ფიგურად იქცა. "სპარტაკის" ქომაგი ხშირად აკრიტიკებს გუნდის სამწვრთნელო შტაბს, რადგან ჯანოს მცირე სათამაშო დროს აძლევენ, მოედანზე მისი ყოველი გამოჩენა კი ემოციების ზღვას იწვევს. არადა, ის ჯერ მხოლოდ 20 წლისაა.

ჯანო ანანიძე ამირან ანანიძისა და სვეტლანა საკუნოვას ოჯახში დაიბადა. ამირან ანანიძე თავად იყო ფეხბურთელი და შემდეგ ქობულეთში მწვრთნელად მუშაობდა, სადაც დაიწყო კიდეც ჯანოს კარიერა. ბიჭუნა ფეხბურთით იყო გატაცებული და, როგორც იტყვიან, ბურთთან ერთად იძინებდა და იღვიძებდა. 12 წლის ასაკში ჯანო დააწინაურეს და ის თბილისის "დინამოს" სკოლაში, "ნორჩ დინამოელში" აღმოჩნდა. სულ რაღაც ერთ წელიწადში კი კიევის "დინამომ" მიიწვია. კიევის "დინამოს" სელექციონერები ცნობილი არაინ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენით.

თუმცა, ჯანო კიევში დიდხანს არ დარჩენილა - დაახლოებით წელიწად-ნახევარი. საქმე ისაა, რომ კიევის "დინამოს" მესვეურებმა ჯანოს აუკრძალეს საქართველოს 1991 წლამდელთა ნაკრებში თამაში, ჯანო კი, აკრძალვის მიუხედავად, გამოცხადდა ნაკრებში, რის შემდეგ მას კლუბში აღარ დაედგომებოდა.

ჯანო საქართველოში დარჩა, თუმცა, არა დიდი ხნით. სულ მალე იუნიორთა ნაკრებთან ერთად რუსეთში თანატოლების წინააღმდეგ სათამაშოდ გაემგზავრა, იქ კი მისი ნიჭი "სპარტაკის" წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს. მათ შორის ანდრეი პოლშჩუკმა ("სპარტაკის" დირექტორი ბავშვთა და იუნიორთა ფეხბურთის განვითარების დარგში). სულ მცირე ხანში "სპარტაკის" ტექნიკურმა დირექტორმა ევგენი სმოლენცევმა ჯანო სინჯებზე მიიწვია. ანანიძემ საკონტროლო მატჩში ორი გოლი გაიტანა და მასთან კონტრაქტი გაფორმდა. ეს მოხდა 2007 წლის მიწურულს.

სინამდვილეში ჯანოს გადაბირებით რამდენიმე რუსული კლუბი იყო დაინტერესებული, თუმცა, სმოლენცევის დახმარებით, "სპარტაკმა" ნიჭიერი ფეხბურთელი ხელში ჩაიგდო. არასრულწლოვან უცხოელ ფეხბურთელთან კონტრაქტის გაფორმება ოფიციალურად შეუძლებელი იყო, ამიტომ მოსკოვში ჯანოს მშობლები ჩამოფრინდნენ. 2008 წელს ოფიციალურ თამაშებში ჯანომ მონაწილეობა ვერ მიიღო, 2009 წლიდან კი "სპარტაკის" იუნიორთა გუნდში თამაშობდა.

2009 წელსვე, პაველ იაკოვლევთან ერთად, ჯანოს "სპარტაკის" ძირითად გუნდთან ვარჯიშისა და თამაშის საშუალება მიეცა. "კრასნოდარის" წინააღმდეგ სათასო მატჩშიც ითამაშა და ძალიან ლამაზი გოლითაც დაგვამახსოვრა თავი, სულ მალე კი პირველი პრემიერლიგური გოლი გაიტანა. ჯანომ "ლოკომოტივი" გამწარა. რუსული პრემიერ ლიგის ისტორიაში ის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, ვისაც გოლი გაუტანია. გოლის გატანის დღეს ჯანო 17 წლისა და 8 დღის იყო. იმავე წელს შედგა ჯანოს დებიუტი საქართველოს ნაკრებში და ჯანომ აქაც რეკორდი დაამყარა. იტალიის ნაკრებთან მატჩში ჯანო 16 წლისა და 330 დღის იყო და ის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, ვისაც საქართველოს ნაკრებში უთამაშია.

ადრეული დებიუტის მიუხედავად, ჯანომ "სპარტაკის" ძირითადში ადგილი მაინც ვერ დაიმკვიდრა. ის ახლოსაა სასტარტო შემადგენლობასთან, მისი მინდორზე გასვლა გუნდისთვის ყოველთვის სასარგებლოა, მას შეუძლია თამაშის გამრავალფეროვნება და აშკარაა, რომ "სპარტაკზე" უფრო ნაკლებად ამბიციურ გუნდში ის კარგა ხნის წინ გახდებოდა ლიდერი. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, უკვე სამი წელია, რაც ჯანო ნაკრების უცვლელი წევრია. მას ევროპაშიც კარგად იცნობენ. მის მიმართ ინტერესს იჩენს "არსენალი", არსენ ვენგერი კი ახალგაზრდებში კარგად ერკვევა. სულ ცოტა ხნის წინ საქართველო-ესპანეთის მატჩამდე იკერ კასილასმა განაცხადა, რომ მისმა თანაგუნდელებმა ჯანოს ნეიტრალიზებაზე უნდა იფიქრონ. ძნელია იმის თქმა, საიდან იცნობს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჯანოს, მაგრამ ფაქტია, რომ თამაშის წინ მან სწორედ ჯანოზე გაამახვილა ყურადღება.

თავად ჯანო თავის კერპად "რეალის" სხვა ფეხბურთელს ასახელებს. არ იფიქროთ, რომ კრიშტიანუ რონალდუს. ჯანოს კერპი ბრაზილიელი კაკაა. "ქედს ვიხრი კაკას წინაშე. მას ფენომენალურ ფეხბურთელად ვთვლი. ითამაშოს "რეალში" და მერე ჩვენთან, "სპარტაკში" გადმოვიდეს," - ეს სიტყვები ჯანომ სამი წლის წინ წარმოთქვა.

ჯანოს ფლეიმეიქერის პოზიციაზე უყვარს თამაში. მოსწონს ბურთის ტარება, მეტოქის მოტყუება და პასების გადაცემა. სამწუხაროდ, მიმდინარე სეზონში მას არც ისე ხშირად უწევს მინდორზე გამოსვლა. 11 ტურის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ გამოჩნდა ძირითადში, ხუთჯერ კი სხვა მოთამაშე შეცვალა. მის ანგარშზე "დინამოს" კარში გატანილი გოლი და "ტერეკთან" მატჩში გაკეთებული საგოლე გადაცემაა. ჩემპიონთა ლიგაში უნაი ემერის მისთვის თამაშის საშუალება არ მიუცია. ცხადია, ის ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ თუ სათადარიგოთა სკამზე "დაამწნილებენ", ეს სიკეთეს არავის მოუტანს. ასეთ ვითარებაში არაერთი ფეხბურთელი დაკარგულა. მაგალითად, პაველ იაკოვლევი, რომელთან ერთადაც ჯანომ ძირითადში შეაბიჯა. "სპარტაკმა" იაკოვლევი არაერთხელ გაანათხოვრა, ანანიძეს კი ცივ ნიავს არ აკარებენ, უფრთხილდებიან და არსად არ უშვებენ. ვნახოთ, რა გამოვა აქედან. საეჭვოა, რომ ახლანდელი ვითარება თავად იუბილარს მოსწონდეს".

როგორც ხედავთ, რუსული მედია ჯანოს დადებითად აფასებს და ქართველი ფეხბურთელის მომავალზეც ზრუნავს. "სპარტაკში" ჯანოს მართლაც არ ეძლევა ბოლომდე თავის გამოჩენის საშუალება. ამ ვითარებაში ანანიძემ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს სანაკრებო შანსი. ხვალ საქართველოს ნაკრები ჰელსინკში ფინეთის ნაკრებს ხვდება. თუ თემურ ქეცბაიამ ჯანო ძირითადში დააყენა, ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ეს ევროპულ ასპარეზზე გამოჩენის მორიგი კარგი შანსი იქნება.

ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲔ

ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ:
თბილისი,
ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 91 22 83
(+995 32) 2 47 55 54
artanuji@artanuji.ge
www.artanuji.ge

www.artanuji.ge

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲢᲐᲜᲣᲯᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ